

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა – ქართული ფილოლოგია

კონსტანტინე გოგიბერიძე

**ქალაქის ყოფის ამსახველი თხზულებები ალექსანდრე ყაზბეგის
მხატვრულ ნააზრევში**

ნაშრომი შესრულებულია ქართული ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი:
ეკა ვარდოშვილი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

სარჩევი

ანოტაცია	3
Annotation.....	4
შესავალი.....	5
თავი 1. ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრება და მოღვაწეობა.....	8
თავი 2. ქალაქი და ქალაქელები ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრულ ნააზრევში.....	15
თავი 3. ქალაქის ყოფა ალექსანდრე ყაზბეგის დაუმთავრებელ მოთხრობებში.....	26
თავი 4. „დავითის სახლობისა“ და „ცხოვრების ჩარხის“ პერსონაჟები.....	40
დასკვნა.....	46
გამოყენებული ლიტერატურა	48

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს დიდი ქართველი მწერლის - ალექსანდრე ყაზბეგის ქალაქის ყოფის ამსახველი თხზულებების კვლევას. საზოგადოება ნაკლებად იცნობს ამ კუთხით ალექსანდრე ყაზბეგს, შესაბამისად ჩემი ინტერესიც ამან განაპირობა. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც განხილულია ნაშრომში - არის ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული საზოგადოების მხილება, რომელიც მჩაგვრელ ძალად გვევლინება ნაწარმოებებში. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია მთისა და ბარის ყოფა-ცხოვრების შედარება, სადაც ვხედავთ რადიკალურად განსხვავებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ამასთანავე, ყურადღება გამახვილებულია მორალურ-ზნეობრივ მხარეზე, რომელიც ასევე აშკარად განასხვავებს მთას ბარისგან.

მწერლის ყოფა-ცხოვრება აღწერილია იმდენად, რამდენადაც იგი ჩვენს თემას შეეხება. ზუსტად მისივე ბიოგრაფიიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ ქალაქურ ყოფა-ცხოვრებას მწერალი განაქიქებს და მთაში ცხოვრებას ამჯობინებს.

ნაშრომში მრავლადაა მაგალითები, თუ რა სავალალო შედეგით სრულდება ბურჟუაზიულ-არისტოკრატთა, რუს მოხელეთა, გაქნილ მოვაჭრეთა და სხვათა მიერ ჩადენილი დანაშაულებები. მკაფიოდ ჩანს, რომ ერთგან არის სიმამაცე, მეგობრობა, სიყვარული, თავგანწირვა, ხოლო მეორეგან ბოროტება, პატივმოყვარეობა, სილაჩრე, გაუტანლობა და შური.

სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ავტორი კრიტიკული რეალიზმისთვის დამახასიათებელი ირონიით მოიხსენიებს რუსულ „ცივილიზაციას“, რომელსაც გარყვნილების და უბედურების მეტი არა შემოუტანია რა. სწორედ ამას ამბობს ყაზბეგი, რომ მთამ შეინარჩუნა თავისი იდენტობა, თავისი ტრადიციები, ხოლო ქალაქი გაიხრწნა და მარტივად დანებდა ახლად შემოსულ ცხოვრების წესს.

დასკვნის სახით უნდა ვთქვათ, რომ ყაზბეგის ჰუმანისტურმა იდეებმა შედეგი გამოიღო და თუ მის სიცოცხლეში არა, მისი სიკვდილის მერე მაინც ჰპოვეს აღიარება.

Annotation

The given MA thesis aims to research the literary works reflecting the city life by one of the great Georgian writers, Alexander Kazbegi. As the society is less familiar with Alexander Kazbegi in this regard, my interest to dwell upon this issue has been immensely strengthened. The first and the most important consideration in the work is the disclosure of the bourgeois-aristocratic society that is claimed to have the oppressive force in the works. The second but not the least important thing is to compare the life of the mountain and the valley, where we see radically different political and economic conditions. In addition, the focus falls on the moral side, which also clearly distinguishes the life in the mountain from that of the valley.

The writer's life is described as far as it concerns our topic. Just because of his biography, we conclude that the writer reprehends the city life and prefers to move to the mountain.

There are plenty of examples of the crimes committed by the bourgeois-aristocrats, Russian officials, diplomats, and others. It is clear that there is courage, friendship, love, self-sacrifice, and on the other hand, there is evil, ambition, sadness, grief, and envy.

This was the main reason for the author to describe Russian "civilization" with irony, which is characteristic of critical realism, and has nothing to do with perfection and calamity. This is exactly what Kazbegi tries to notice - the mountain retained its identity, its traditions, while the city was broken and easily surrendered to the newly introduced way of life.

In conclusion, we should say that Kazbegi's humanistic ideas have produced the result and, if not on his day, they were acknowledged after his death.

შესავალი

მოგეხსენებათ, მე-19 საუკუნე, საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გარდამტეხი პერიოდია პოლიტიკური, კულტურული თუ იდეოლოგიური თვალსაზრისით. უამთა ცვლასთან ერთად ჩვენი ქვეყნის ისტორიის ყველა ეპოქაში იცვლებოდა ხალხის მოთხოვნილება სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწეთა მიმართ. სწორედ ამ ეპოქალურ სახესხვაობას უკავშირდება V-XI საუკუნეებში ქრისტიანულ მოტივებზე შექმნილი ორიგინალური ნაწარმოებები, როგორცაა: „წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“, „აბო თბილელის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. ასევე XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე გენიალური ”ვეფხისტყაოსნის“, როგორც „ახალი დაკვეთის“ ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩენა და ბოლოს, XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა ის ღვაწლი, რომელიც ჰაერივით საჭირო გახლდათ იმდროინდელი საზოგადოებისათვის.

XIX საუკუნის ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული ფიგურაა ალექსანდრე ყაზბეგი, რომელმაც ვაჟა-ფშაველასთან ერთად პირველმა წამოწია მთის თემა და საზოგადოების ყურადღება მისკენ მიმართა.

სანამ უშუალოდ მწერალზე ვისაუბრებდეთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მისი სამოღვაწეო ასპარეზის წლები და იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა.

„მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ქართული პერიოდული პრესა საკმაოდ მრავალფეროვანია. ამ წლებში კვლავ გამოდის „დროება“; 1877 წლიდან იწყებს გამოსვლას „ივერია“, რომელიც სხვადასხვა დროს გამოდიოდა ხან როგორც გაზეთი, ხან როგორც ჟურნალი. მან იარსება თითქმის სამათვეულ წელზე მეტ ხანს. მისი დამაარსებელი და პირველი რედაქტორი ილია ჭავჭავაძე იყო. „ივერიის“ ფურცლებზე დიდი ადგილი ეჭირა მხატვრულ ლიტერატურას, ისტორიას, ეთნოგრაფიას, პუბლიცისტიკას, ლიტერატურათმცოდნეობას, პედაგოგიკას, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის საკითხებს. იგი თანამიმდევარ ბრძოლას აწარმოებდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იდეებისთვის. მე-19 საუკუნის 80-90-იანი წლების

ქართული კულტურის მრავალი მოღვაწე უმთავრესად „ივერიასთან“ იყო დაკავშირებული. პროგრესულ-თავადაზნაურულ შეხედულებებთან ერთად „ივერიაში“ თანდათან მულავნდებოდა ბურჟუაზიული აზროვნების ნიშნები" [რადიანი 1953: 96].

კარგად ჩანს, თუ რა როლი ეჭირა ჟურნალ-გაზეთებს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იდეების სამსახურში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხშირი იყო ბურჟუაზიულ-ნაროდნიკული პოზიციებიდან განხილული მოვლენებიც, რომლებიც ძირითადად პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული ხასიათის წერილებში ვლინდებოდა.

იმისათვის, რომ თემის შინაარსმა მიგიზიდოს, ვფიქრობ, აუცილებელია გრძნობდე ამ თემის აქტუალობასა და საჭიროებას. დაინტერესება ალექსანდრე ყაზბეგითა და, საერთოდ, XIX საუკუნის მეორე ნახევრით, უკვე ნიშნავს, რომ ინტერესდები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გარდამტეხი ეპოქით ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ეს იყო დრო, როდესაც ყველაზე ნათლად ჩანდა ბატონყმობის გადავარდნითა და კაპიტალიზმის ჩამოყალიბებით გამოწვეული ვნებათა ღელვა ხალხში; წინარე დამოკიდებულებების განქიქება და ახალ დროებასთან მძიმედ შეგუება.

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების განხილვით ხაზი მინდა გავუსვა მის შემოქმედებით მრწამსს, ფილოსოფიურ კრედოს. საზოგადო მოღვაწეთა ერთი ნაწილი იბრძოდა ყველა მოქალაქის უფლებების მოპოვებისთვის, აგრეთვე კონსტიტუციის, ეკონომიკური სისტემისა და პოლიტიკის წინააღმდეგ, რაც მშრომელი ხალხის გათავისუფლებას ემსახურებოდა. ადამიანის სულის აღდგენისკენ იყო მიმართული მეორე ნაწილის ცდა, რომელთაც საკითხების ზნეობრივი გამარჯვებით დაგვირგვინება სურდა: „აქ კი შევეხოთ მეორე მიმართულების წარმომადგენლებს, რომელნიც ჩვენს ლიტერატურაში დამკვიდრდნენ ნეორომანტიკოსების სახელით, ე.ი. ალექსანდრე ყაზბეგს და ვაჟა-ფშაველას. ეს უკანასკნელნი, უეჭველად რევოლუციონერები იყვნენ თავისი შემოქმედებით. ისინიც წინააღმდეგნი იყვნენ იმ პროვილეგიური უმცირესობისა, რომელიც ცხოვრებას დაპატრონებოდა, მაგრამ ამ პროტესტანტობის საფუძვლად სოციოლოგიური მხარე კი არ ჰქონდათ, არამედ ზნეობრივი, თუ პირველ ცნებას ვიწრო მნიშვნელობით ვიგულისხმებთ. ჩვენი ნეორომანტიკოსებიც წინააღმდეგნი იყვნენ იმ

საშინელი სინამდვილის, რომელიც დამპყრობი ნაბიჯით მოდიოდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ნივთიერად აღატაკებდა ხალხს, არამედ იმიტომ, რომ სულს ურყევნიდა. ამ დაპირისპირებაში მოხდა ისე, რომ მთა და ბარი თითქოს ორ პოლუსად იქცნენ, და ბარი რომ ნივთიერი აღორძინებისაკენ იკვლევდა გზას, მთა სულის განახლებას ავალედა, ბარი რომ რეალიზმისა და ნატურალიზმის დაბლობში ჩადიოდა, მთა რომანტიკული სიმალღეებისკენ მოუწოდებდა“ [კოტეტიშვილი 1965: 541-542].

სწორედ მთისა და ბარის ყაზბეგისეულმა შეპირისპირებამ გამოიწვია ჩემი ამ თემით დაინტერესება, რადგან მწერალი ყოველ ნაწარმოებში უფრო და უფრო გვარწმუნებს მთის ყოფის ზნეობრივ სიმალღესა და ბარის ცხოვრების ამორალურობაში. ამასთანავე უნდა ითქვას ისიც, რომ მისი შემოქმედება ამ კუთხით, საერთოდ თუ არა, დიდი დოზით მაინც შეუსწავლელია და საჭიროებს საფუძვლიან, ძირფესვიან განხილვას ქალაქური ყოფისა.

ყაზბეგის ქალაქის ციკლის ნაწარმოებები მნიშვნელოვანია აგრეთვე იმიტაც, რომ მწერალს აღწერილი აქვს არა ერთი, არამედ მრავალი სხვადასხვა ქალაქის სოციალური თუ კულტურული გარემო. მის შემოქმედებაში ვხვდებით თბილისისა და მოსკოვის უბნებს, ბათუმის სანაპიროსა თუ პეტერბურგის ქუჩებს, ქუთაისის ბაღებსა თუ ლონდონის სადგურებს..

ამ ყველაფრის აღწერისას ავტორი ჩვეული ტრაგიზმით გადმოგვცემს ურბანული ყოფის აუტანელ მდგომარეობასა და ადამიანთა ერთმანეთისადმი უგულო დამოკიდებულებას, რაც მთისა და ბარის ყველაზე დიდი განმასხვავებელი ნიშაა მის შემოქმედებაში.

ვგონებ, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა მეტად საინტერესოდ წარმოაჩენს „მთის მწერლის“ მსოფლმხედველობას და ნათელს მოჰყენს მის შედარებით შეუსწავლელ - ქალაქური ყოფის ამსახველ მხატვრულ ნააზრევს.

თავი 1. ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრება და მოღვაწეობა

„სტეფანწმინდა. მდინარე თერგის მაღალს ნაპირზედ ამართულია ყაზბეგიანთ ვეებერთელა სასახლე. მის გვერდზედ აშენებულია თლილი ქვის ტაძარი, რომელსაც დაბალი გალავანი არტყია. სასახლე ამაყად გადაჰყურებს ძირს მშფოთვარე თერგსა, შეჰყურებს ცამდის ამართულს მუდამ თოვლიანს მყინვარსა და ირგვლივ მედიდურად ჩამწკრივებულს, თვალუნვდენელ სალსა კლდეებსა, რომლებიც ალაგ-ალაგ ძალზე უახლოვდებიან ერთმანეთსა და ავინროებენ ხეობას. კლდეების მაღალს წვერებზედ ლალობენ ამაყად რქებგაშლილი ჯიხვები, რომელთაც მონადირე ჩასაფრებია და ელის მარჯვე დროს, რომ დააგრილოს თოფი და სიცოცხლეს გამოასალმოს ბუნების ეს ლამაზი არსება; სასახლისავე პირდაპირ, თერგის მეორე ნაპირას, მაღალს მთაზედ დგას დიდებული ტაძარი წმინდა სამებისა, რომელიც ცამეტი საუკუნის ისტორიას ითვლის. ეს ის ტაძარია, რომლის ხილვამ განაცვიფრა ილია ჭავჭავაძე და წარმოათქმევინა დაუვინყარი სიტყვები სამშობლოს განთავისუფლებაზე; ხშირად სასახლის აივნიდან გამოჩნდება, თუ როგორ მოსწყდება მაღალი მთის წვერიდან საშინელის ჭექა-ქუხილით უზარმაზარი თოვლის ზვაფი და საშინელის სისწრაფით ვეფხვივით დაეცემა გიჟს თერგსა და მცირე ხნით შეაჩერებს მის აღქაფებულ მსვლელობას; აქედანვე მოსჩანს თერგის გაღმა-გამოღმა კლდეებზედ მიკრული პატარ-პატარა სოფლები მაღალის კოშკებით; აგერ პირდაპირე მაღალი მთები მწვანე ხავერდითა და მრავალფეროვანი ყვავილებით მოქარგულა, ზედ შეფენილა ცხვრის ფარა; აქვე მიიკლაკნება საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც ხან კლდეს გაეკვრის ნაპირას, ხან თერგის პირად ჩამოდის“ [რადიანი 1953: 158].

ასეთ საოცარ და მომაჯადოებელ ბუნებაში დაიბადა გენიალური მწერალი - ალექსანდრე ყაზბეგი, 1848 წლის 8 იანვარს (რადიანი 1953: 158). მისი წინაპრები ჩოფიკაშვილები ყოფილან. საქართველოში მეფის რუსეთის ძალაუფლების დამყარების შემდეგ, მწერლის პაპა - გაბრიელ ჩოფიკაშვილი მსხვილი მოხელე შეიქნა. რუსეთის თვითმპყრობელობა მას დიდ პატივს სცემდა, რადგან იგი ხეობის დაცვის უმნიშვნელოვანეს ძალას წარმოადგენდა. გენერალ-მაიორობისა და აზნაურობის

ტიტულის მოპოვების შემდეგ გაბრიელი იცვლის გვარს და ხდება ყაზბეგი, მამის საპატივცემულოდ. შესაბამისად, სტეფანწმინდას, როგორც გაბრიელის საბრძანებელს, ყაზბეგი უწოდეს.

განსხვავებით ალექსანდრეს მამის - მიხეილისგან, რომელიც ხევში არ უყვარდათ, გაბრიელს დიდ პატივს სცემდნენ. სწორედ მისი პროტოტიპია სვიმონ ჩოფიკაშვილი „ელგუჯაში“, რომელსაც მწერალი სამართლიან და პატიოსან მოხელედ გვიხატავს.

ალექსანდრეს დედა - ელისაბედ თარხნიშვილი განათლებული ქალი იყო, რომელსაც საკუთარი ბიბლიოთეკაც კი ჰქონდა. ყაზბეგთა სახლ-კარი უმდიდრესი იყო ხევში და იქაური სიღარიბის ფონზე სასახლესავით გამოიყურებოდა, სადაც პატარა ალექსანდრეს ფუფუნებაში ზრდნიდნენ. თავად მწერალი ასე ახასიათებს თავის ოჯახს: „მამაჩემს და დედაჩემს განსაკუთრებით თავისებური ხასიათი ჰქონდათ. უყვარდათ დიდკაცობა და მდიდრულად ცხოვრობდნენ, მაგრამ ყველგანთ თავისებური პირადობა ეტყობოდათ. მაგალითად: სამი პოვარი გვყავდა, ორი მეჭინბე, ორი კუჩერი, ექვსი ლაქია და ორი კიდევ პატარა ბიჭი ხელზედ მოსამსახურე და ხუთამდის „მცველები“, სხვა სახელი ვერ მომიგონია ამ ხალხისთვის, რადგანაც მათი საქმე მხოლოდ შეიარაღებული გაყოლა იყო მამაჩემისა, როდესაც მიდიოდა სადმე, შვიდი მოხელე და ერთი ბაზიერი, თავის ურიცხვი ქორ-მეძებრებით. ჩვენი წასვლა სადმე ერთი ორომტრიალი იყო, რადგანაც ამოდენა სახლობის დასაძრავად მთელი თვეები მზადება გვიხდებოდა“ [ქართული... 1974: 343].

ცხადია, მომავალმა მწერალმა ადრეულ ასაკშივე შეამჩნია აღზრდის ამგვარი მეთოდების მავნებლობა და კომიკური მხარე. ცნობილია, რომ მამა მას ჯიბეში ოქროებსაც უყრიდა, რათა შვილი გაეხარებინა. დ. კარიჭაშვილის სიტყვით, მისი პირველი პიესა ყოფილა „აღმზრდელები“, რომლის მოქმედი პირები ყაზბეგის მშობლები იყვნენ. ამ პიესაში აგდებული იყო აღზრდის ის მეთოდები, რომლითაც ალექსანდრეს ზრდიდნენ.

მისი ერთ-ერთი პიველი ბიოგრაფი მოგვითხრობს: „იგი ვერ ეთვისებოდა მდიდრულ ცხოვრებას; ხშირად გაუსხლტებოდა გაღია-გამზრდელებს ხელიდან და სოფლის ბიჭებში, უფრო ცხვარში ამოჰყოფდა თავს. განსაკუთრებით მწყემსებთან ყოფნა უყვარდა“ [რადიანი 1953: 160].

ამგვარადვე ახასიათებს ა. ყაზბეგის ბავშვობის წლებს აკაკი წერეთელი: „ა.ყაზბეგს დაბალი ხალხი იმთავითვე, ბავშვობაშივე უყვარდა, სული ბიჭებში მიუდიოდა“ [რადიანი 1953: 96].

ა. ყაზბეგის ზნეობრივ გამონჭრთნაში დიდი წვლილი მიუძღვის მის აღმზრდელს - ნინოს, რომელსაც მწერალმა თავის ნაწერთა პირველი კრებული მიუძღვნა. დარბაისელი და კეთილი ქალის მიერ ნაამბობმა ზღაპრებმა და თქმულებებმა უდიდესი როლი ითამაშა ყაზბეგის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაში. გამზრდელმა პატარა ალექსანდრეს ჩაუნერგა მშრომელი ხალხის სიყვარული და პატივისცემა, რასაც თავად მწერალიც ადასტურებს ნინოსადმი მიწერილ წერილში: „ჩემო საყვარელო გამზრდელო ნინო! ჩემისთანა ღარიბ კაცს რა ექნება, რომ შენ დაგიგდოს ან სახსოვრად, და ან მიგიძღვნას? ამაზე უძვირფასესი მე არა მექონდა-რა და ამის გამოისობით მოგიძღვნი ამ რამდენიმე ჩემო გრძნობისა და სულის მოძრაობას, რომლის აღზრდაშიც შენი ისეთს მონაწილეობას იღებდი. აბა, მოიგონე, ის დროები, როდესაც მე ბავშვობაში მივლიდნენ ისე, როგორც მეფის შვილს, მანებივრებდნენ უკანასკნელ გარყვნილებამდე, მასწავლიდნენ შურს, ამპარტავნობას და სიძულვილს!.. ხელის-ხელ ამასთან მოიგონე შენი ზღაპრები - „თათრის ყვავილი“, „ხალხის ნუგეში“, „მეკობრეები“, და სხვადასხვა, რომლებსაც უფრო ვენდობოდი, და რომლების შინაარსიც უფრო იბეჭდებოდა ჩემს თავში, ვიდრე დარიგება სხვა პირებისა. გახსოვს, რა თანაგრძნობით მიამბობდი მოსამსახურის და ყმების მდგომარეობაზე ბატონების ხელში?.. გახსოვს, შენმა სიტყვებმა რამდენჯერ დამალვრევინა მდულარე ცრემლები... შენი სიტყვები არ დაიკარგა მუქთად, და აქ დაიმარხა ჩემს გულში... და ეხლა, ამდენი ხნის განმავლობის შემდეგ, როდესაც შემოძლიან ანგარიში მივცე ჩემს მოძრაობას, შემოძლიან სიამაყით გითხრა: შენს გაზრდილში თუ იპოვება რამე რიგიანი, ბავშვობიდანვე ჩანერგილი, ამის მიზეზი შენა ხარ, რომლისთვისაც გმადლობ წარმოუთქმელად“ [რადიანი 1953: 161].

1859 წელს ა. ყაზბეგი თბილისში, ჰაკეს ცნობილ პანსიონში მიაბარეს, რომელშიც ათიოდე წლით ადრე ილია ჭავჭავაძე სწავლობდა. 1863 წელს იგი უკვე გიმნაზიის მე-3 კლასის მოწაფეა, მაგრამ ორი წლის შემდეგ მისი მშობლები ველარ ჩამოვიდნენ

თბილისში, შესაბამისად ყაზბეგსაც აღარ გზავნიან სასწავლებელში. როგორც ცნობილია, იგი ამ ფაქტს მწვავედ განიცდიდა.

1866 წელს, მამის, მიხეილ ყაზბეგის გარდაცვალება მძიმედ დაანვა ოჯახს. 18 წლის ალექსანდრეს უნდა აეღო ოჯახის წინამძღოლობის ვალდებულება, თუმცა მას გული სწავლა-განათლებისკენ უწევდა. 1867 წელს, დედის თანხმობით, იგი უკვე მოსკოვში პეტროვო-რაზუმოვსკის სამეურნეო აკადემიის თავისუფალ მსმენელად გვევლინება. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ალექსანდრე ყაზბეგის რუსეთში ყოფნის პერიოდი დაემთხვა რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების წარმომადგენელთა მოღვაწეობას. ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ნეკრასოვისა და სხვა საზოგადო მოღვაწეთა გავლენის გარეშე არც ყაზბეგი დარჩენილა.

ფრიალ საინტერესო და ტრაგიკულია მწერლის სასიყვარულო ისტორია. 1869 წელს ა. ყაზბეგს გაუცნია მდიდარი მემამულის ქალი - ნინო ჩერნიშოვა-კრუგლოვა. მისმა მშვენიერებამ მოხიბლა ქართველი სტუდენტი და სიყვარულით აღანთო მის მიმართ, მაგრამ სამწუხაროდ ნინო სხვას მიათხოვეს. იმავე წელს დედის მიმართ მიწერილ წერილში ყაზბეგი ამბობს, რომ ცოლის მოსაყვანად ფული ესაჭიროება. მართალია, დედამ მას გაუგზავნა ფულიც და ჯვრისწერის სამკაულებიც, თუმცა სულიერად ობოლ მწერალს სიკვდილამდე არ ღირსებია არც ცოლი და არც ოჯახური ცხოვრება. მკვლევარი დავით კარიჭაშვილი სამართლიანად აღნიშნავს: „ეს წერილი კი არა, მისი პირველი რომანია. მისი ფანტაზიის ნაყოფი“ [ქართული... 1974: 345].

მართლაც, ყაზბეგი ჩვეული სინატიფით გვიყვება გრაფ ჩერნიშე-კრუგლოვის ასულთან თავის სასიყვარულო თავგადასავალს, სადაც კარგად მუღავნდება მისი სენტიმენტალიზმისტური მანერისკენ მიდრეკილება. ამ ნაწარმოებზე უფრო ვრცლად შემდგომ ვისაუბრებთ.

1870 წელს მწერალი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საქართველოში ბრუნდება ისე, რომ სწავლა არც კი დაუსრულებია. იმის მაგივრად, რომ მამა-პაპის დამსახურებით და ნაღვანით დიდკაცობა მოეპოვებინა, ყაზბეგმა 7 წელი მეცხვარედ გაატარა. რალა თქმა უნდა, ამას მოჰყვა საზოგადოების მიერ მითქმა-მოთქმა და ქილიკი, მაგრამ ყაზბეგს უბრალო ხალხის ყოფა და განცდები იზიდავდა, ამიტომაც ჯიუტად

ისრულებდა სულის წადილს: „მიუხედავად ამ შეურაცხყოფელი მითქმა-მოთქმისა, მას ერთი წუთითაც არ უფიქრია თავისი გადანყვეტილების შეცვლა. მართალია, ყაზბეგს სამუდამოდ დაეკარგა მაღალ წრეებში თავისი პრესტიჟის აღდგენის შესაძლებლობა, სამაგიეროდ, მან მოიპოვა სიყვარული და გულწრფელი ნდობა მისთვის ბევრად უფრო ძვირფას ადამიანთა შორის“ [ქართული... 1974: 346].

7 წელი ცხვარში ყოფნის შემდეგ მწერალმა გადანყვეტა ქალაქში მოღვაწეობა: „1879 წელს ა. ყაზბეგი თავს ანებებს ხევს და თბილისში გადმოდის საცხოვრებლად. იგი იწყებს გაცხოველებულ შემოქმედებით მუშაობას. 1880 წელს „დროებაში“ იბეჭდება მისი ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევი - „მოხვევები და მათი ცხოვრება“. ეს ნარკვევი მრავალი მხრით არის საგულისხმო. მასში სისწორით არის გადმოცემული მოხვევთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფა, მათი ჩაგვრა და ყვლეფა მოხელეთაგან, ყაზახებისგან“ [რადიანი 1953: 163].

საერთოდ, ა. ყაზბეგის შემოქმედებაში პირობითად შესაძლებელია ორი პერიოდის გამოყოფა: I პერიოდი - დაახლოებით 1870 წლიდან 1880 წლამდე, როდესაც იწერება მისი პიესების უმრავლესობა და „საქართველოს ბომონდის“ პირველი ვარიანტი.; II – 1880 წლიდან 1885 წლამდე, რა დროშიც ა. მოჩხუბარიძის თსევედონიმით შეიქმნა ისეთი დიდი ნაწარმოებები, როგორებიცაა: „მამის მკვლეელი“, „ელგუჯა“, „მოძღვარი“, „ხევისბერი გოჩა“, „განკიცული“, „ციცკა“, „ციკო“ და სხვ.

როდესაც ვსაუბრობთ ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მისი თეატრისადმი სიყვარული და დამოკიდებულება. იგი თეატრის მნიშვნელობას ზედმინევით კარგად ხედავდა, რის გამოც მას ეროვნული კულტურისა და ცნობიერების კერად მოიხსენიებდა: „თეატრი არის სარკე ჩვენი ცხოვრებისა. თეატრი არის საშუალება კაცის გრძნობის მოძრაობაში მოსაყვანი. თეატრი არის საჯარო გამოფენა მთელი ქვეყნის გენიოსთა ჭკუის მოძრაობისა და ცის ჯილდოთი დასაჩუქრებულთა მოქმედებით გამოხატვა ხალხის წინაშე. თეატრი არის მკაცრი გამკიცხავი ბოროტებისა, თეატრი არის დამყვავებელი მშობელი კეთილის და ქვეყნის შველისა, თეატრი არის მსაჯული ყოვლად ძლიერი და წმინდა, მან იცის გრძნობა და კვნესა გულით მკვნესავთან... თეატრმა იცის გულჩათუთქულს მიანვდინოს დიდებული ხმა:

„სამშობლოს გაუმარჯოს“, და ეს ხმა არის ნექტარი ავადმყოფებისთვის, ამხელი თვალებისა, გრძნობაში მომყვანი მიძინებულის და მომგონებელი კაცის ღირსებისა“ [გაჩეჩილაძე 1963: 172-173].

ყაზბეგის თავდავინწყებული სიყვარული თეატრის მიმართ მხოლოდ და მხოლოდ დრამატურგობით არ შემოიფარგლებოდა. იგი იყო მუდმივი ქართული დასის წევრი და მისი სახელი განუყრელია 80-იანი წლების ქართული თეატრის ისტორიისაგან. მართალია მას არ გააჩნდა დიდი მსახიობური ნიჭი, მაგრამ თავისი ხანმოკლე მოღვაწეობისას იგი მხარს უმხვენიდა თეატრის იმდროინდელ კორიფეებს, როგორებიც იყვნენ: მარიამ საფაროვა, ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ვლადიმერ მესხიშვილი და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას სამოციანელთა მსგავსად თეატრი მიაჩნდა ერის ეროვნული გამოფხიზლების, მისი ნაკლოვანებათა მხილებისა და განმათავისუფლებელი მოძრაობის ძლიერ ძალად. 1881 წელს ქართულ თეატრში გაჩენილ კრიზისზე ყაზბეგი წერდა, რომ ეს დროებითი და ბუნებრივი მოვლენაა, ამიტომაც მისი და სხვა საზოგადო მოღვაწეთა შემწეობით თეატრი მალევე დაუბრუნდა ჩვეულ სახეს.

გ. თუმანიშვილი თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ დავით ერისთავმა იპოვა იმდროინდელი ქართული თეატრის „მხსნელი“, რომელიც პიესებით დიდ დახმარებას გაუწევდა მათ: „დიდი ძეხვის შემდეგ ეს კეთილის მოქმედი პიროვნება ჩემ მიერ მიკვლეულ იქნა ჩუღურეთის ბინძურ სასტუმროში. ეს იყო გამხდარი და ფერმკრთალი ყმაწვილი, მაგრამ ძალიან სიმჰათიური და ლამაზი ფიზიონომიის პატრონი. მან მითხრა, რომ მართლაც ბევრი გადმოთარგმნა, მაგრამ ეს პიესები ამჟამად უწესრიგო მდგომარეობაში აქვს. ამავე დროს მან დასძინა, რომ მზადაა რითაც შეუძლია უსასყიდლოდ ემსახუროს ქართულ სცენას და გადმოგვცა ხუთმოქმედებიანი პიესა „ცხოვრების თანამგზავრი“, რომელიც ნახული მქონდა რუსულ სცენაზე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ა. ყაზბეგის ხელით გადაწერილი ეს პიესა მივიღე“ [გაჩეჩილაძე 1963: 174].

გიორგი თუმანიშვილი აგრეთვე დასძენს, რომ კრიზისში მყოფი თეატრისთვის ეს დიდი დახმარება იყო ყაზბეგის მხრიდან. მისი პიესები, როგორც ორიგინალური, ასევე გადმოთარგმნილი, საკმაო პოპულარულობით სარგებლობდა. ყველაზე ხშირად

იდგმებოდა ქართულ ხალხურ მოტივებზე შექმნილი „არსენა“ და ისტორიული დრამა „ნამება ქეთევან დედოფლისა“, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდნენ თავიანთ ღირსეულ ადგილს ქართულ სცენაზე.

ა. ყაზბეგის სხვა და არანაკლებ მნიშვნელოვან პიესებზე შემდგომ ვისაუბრებთ, ხოლო ახლა უნდა გადავიდეთ უშუალოდ ჩვენი თემის საკითხზე, რომელიც რაღა თქმა უნდა, მწერლის ბობოქარი და ამავდროულად ნატიფი ბუნების აღწერის გარეშე არასრულყოფილი იქნებოდა.

თავი 2. ქალაქი და ქალაქელები ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრულ ნააზრევში

„ალექსანდრე ყაზბეგი თავისი თხზულებების შექმნისას ძირითადად ეყრდნობოდა სამ წყაროს: ისტორიულ ფაქტებს, ეთნოგრაფიულ საფუძვლებსა და ფოლკლორულ მასალას. მის შემოქმედებაში ნათლად აისახა ყველა ის პრობლემა, რაც იდგა XIX საუკუნეში ქართული საზოგადოების წინაშე. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში იგი აღიქმება, როგორც ილია ჭავჭავაძის სკოლის ტრადიციების გამგრძელებელი, კრიტიკული რეალიზმის თვანსაჩინო წარმომადგენელი“ [ვარდოშვილი 2014: 69-70].

ალექსანდრე ყაზბეგის პიროვნებიდან გამომდინარე, ცხადია, თუ როგორი რთული, ბოხოქარი ბუნების ადამიანთან გვაქვს საქმე. შესაბამისად, ხასიათის ეს თვისებები კარგად ვლინდება მის ნაწარმოებებში, რომელნიც განმსჭვალულია გრძნობის, თავდადების, უსაზღვრო ემოციისა და ეროტიზმის შერწყმით.

„საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობა თანდათან ასუსტებდა მთაში თემურ წყობილებას. კაპიტალიზმის განვითარებამ დაარღვია ხევის პატრიარქალური პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა. იწყება თემის რღვევა. „ბარი“ თავისი ურთიერთობის წესებით ანგრევს „მთის“ იდილიურ ყოფას. ამ ბრძოლას „ბარსა“ და „მთას“ შორის მძაფრი წინააღმდეგობისა და შეჯახების ხასიათი ჰქონდა. „ბარში“ ა. ყაზბეგი გულისხმობდა მეფის რუსეთის კოლონიზატორებსაც და მათ მკაცრ დამოკიდებულებას ხალხისადმი“ [რადიანი 1953: 174].

უნდა აღინიშნოს, რომ ა. ყაზბეგი თავის გმირებს ყოველთვის ისეთ გარემოებაში აყენებს, რომ ყველგან ჩანს სინძინდე და თავგანწირვა. ეს კი ის თვისებებია, რომელიც წაგვერთვა ე.წ. „ცივილიზაციის“ ძალით და დაგვრჩა მხოლოდ შეგნების ქვეყნოვ სფეროში, როგორც მიბნედილი მემკვიდრეობა (კოტეტიშვილი 1965: 557).

ყაზბეგის ქალაქის ციკლის მოთხრობებში მრავლად გვხვდება მომენტები, რომლებშიც მამაკაცი ბოროტად იყენებს ქალის გულუბრყვილო ხასიათსა და გამოუცდელობას, ვხვდებით აგრეთვე ადამიანების მიერ ერთმანეთის მიმართ უპატივცემულობას, გაბითურებას, ტყუილს. სწორედ ამით უნდოდა მწერალს დაენახებინა

მკითხველისთვის განსხვავება მთის ცხოვრებასა და ქალაქურ ყოფას შორის, სადაც ერთგან მეტად სისპეტაკეა, ხოლო მეორეგან სიბინძურე და დაუნდობლობა.

როდესაც ვსაუბრობთ ქალაქის ყოფის ამსახველ თხზულებებზე, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, თუ რა თემატიკას მოიცავს იგი, რა არის მასში ჩვენთვის ყურადსაღები და მნიშვნელოვანი. პირველი და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოტივი - ქალაქური ვნებისა თუ წინააღმდეგობებით აღსავსე სიყვარულის აღწერაა, რომელიც უმეტესად ტრაგიკულად სრულდება. მართალია, ტრაგიზმის ფილოსოფიურ პლანში გადააზრებაც არის შესაძლებელი, (იგულისხმება არა ფიზიკური, არამედ ადამიანის მენტალური და მორალური განადგურება) მაგრამ ხშირად ვხვდებით ფატალურ შედეგებსაც - ადამიანის ფიზიკურ განადგურებას.

ამის ნათელ მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ მოთხრობა „ფათი“, რომელიც პირველად დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“, (№ 67-68). როგორც ცნობილია, ავტორს ეს ნაწარმოები ახალი რედაქციით დაუბეჭდავს 1885 წელს, ხოლო შემდგომ უმნიშვნელო შესწორებით 1892 წელს, რომლის ვარიანტიც დღეს არის ჩვენთვის ცნობილი.

ნაწარმოები იწყება ქაშუეთის ეკლესიის აღწერით, სადაც აღდგომის მომლოცველებთან ერთად მწერალი ქალაქური ყოფისთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ხვედრს - სიღარიბეს აღწერს: „საყდრის კარებთან კი ჩამომწკრივებულიყვნენ სხვა-და-სხვა გვარად დამახინჯებული საცოდავნი გლახაკნი, დაკონკილის და დაძონძილის ტანისამოსით, რომელთა აღელვებული პირისახე მსუნაგად გამოიყურებოდა და გაშვერილი მთრთოლარე ხელი ბედნიერთა გადანარჩენ ნამცეცებს ელოდა“ [ყაზბეგი 1948: 372];

ავტორი აგრეთვე ჩვეული ლიტერატურული სიმძაფრით გვიხატავს ქალაქისთვის დამახასიათებელ გარემოს: „რამდენიმე წლის შემდეგ, მადამ Z-ის მაღაზიის თანჯრებთან ჩქარ-ჩქარად გამოჩნდებოდა ერთი მკერვალი ქალი, რომლის მშვენიერებაც ბევრ ყმანვილ კაცს უღვაშის გრეხით და გულში უპატოსნოს სურვილით ატარებდა იმ ქუჩაზედ“ [ყაზბეგი 1948: 374];

იქ, სადაც სიღარიბე და გარყვნილებაა, მწერლის აზრით, ადგილი უნდა ჰქონდეს სისასტიკესა და უსამართლობასაც. მოთხრობაში კარგად ჩანს, თუ რაოდენ მძიმეა

ღარიბთა ხვედრი, რომელშიც დაჩაჩანაკებულსა და დაგლახებულს ყველა აბუჩად იგდებს და ჩაგრაავს. გამოკვეთილია ბრბოს ფსიქოლოგია, რომელიც ბრმა მოხუცებულსაც კი არ ინდობს: „ხალხი ყველგან ხალხია - ისინი იცინოდნენ მოხუცის მოქმედებაზე და მოხუცს კი ათასი ლახვარი უტრიალებდა გულში“ [ყაზბეგი 1948: 376];

მართალია, ნათელია ავტორისეული ნიჰილისტური დამოკიდებულება ქალაქურ ატმოსფეროზე, მაგრამ ა.ყაზბეგი ფათის სახით გვიჩვენებს ადამიანობის, სიკეთის, ჰუმანურობისა და გულუბრყვილობის მაგალითს. „ფათიმ, რომელიც მონამე იყო ამ სურათისა, ვეღარ გასძლო, მივიდა პოლიციელთან და დაუწყო ხვეწნა, რომ თავი დაენებებინა“ [ყაზბეგი 1948: 376]; „ფათის, გატაცებულს თავისის გრძნობით, დარწმუნებულს სხვის გრძნობის სინმინდემიაც, სჯეროდა ყოველი იმის სიტყვა, ყოველი იმის ლაპარაკი“ [ყაზბეგი 1948: 377-378];

საინტერესოა ნაწარმოებში მწერლის მიერ შემოტანილი ბალ-მასკარადის თემაც, რომელიც ბუსტად აღწერს ქალაქური ცხოვრების სტილს. ეს მომენტი კიდევ იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ სწორედ აქ ხდება გარდამტეხი მომენტი ფათისა და თავადი მიხეილის ურთიერთობაში: „ამ საღამომ ფათისთვის პირველად გაიარა ასე სასიამოვნოდ, ასე ტკბილად; ის პირველად ჰგრძნობდა რაღაც გამოუცდელ მდგომარეობას და ეს გრძნობა ისე სასიამოვნოდ უაღერსებდა იმის ობლობისგან პატარაობიდგანვე დაჩაგრულს გულს“ [ყაზბეგი 1948: 379];

მოვლენები თავადი მიხეილისთვის ხელსაყრელი სცენარით წარიმართა, რომელშიც იგი მლიქვნელობითა და ტყუილი დაპირებებით შეაცდენს ფათის და წაართმევს ყველაფერს, რითაც ამაყოფს ადამიანი, რითაც თავი მოსწონს ქალს. ფეხმძიმე ფათი მიდის მიხეილთან, სადაც მას ხვდება თავადის ეპოლეტებიანი სასიამორო. მწერალი სატირულად აღწერს მის „გაბრწყინებულ ვარსკლავებს“ და გვიჩვენებს ტლანქი, უხეში, გაუნათლებელი და მხოლოდ სამხედრო სამსახურის მცოდნე უგულო არსებას: „რომანი... სცენა... -. წარმოსთქვა იმან და მხრების აწევით შეათამაშა მსხვილ-ფოჩიანი ეპოლეტები“ [ყაზბეგი 1948: 382];

ფათისთვის, როგორც ახალგაზრდა და ისედაც შეურაცხყოფილი ქალისთვის, ორმაგად მძიმე იყო ეპოლეტებიანი მოხუცებულისგან იმის მოსმენა, რომ მას არ შეეძლო

დაემტკიცებინა ვის შვილს ატარებდა მუცლად. ამასთან ერთად, სიტყვებმა: „მიშა, უთუოდ ამ დედაკაცს სააღდგომოდ ფული არა აქვს, მიგეცა ერთი ოც-და-ხუთიოდე მანეთი და მოიშორე თავითგან“ [ყაზბეგი 1948: 383]; უდიდესი დარტყმა მიაყენა მისი ღირსების შეგრძნებას. მაშინ, როცა ფათიმ საბედისწერო გადანყვეტილება მიიღო, თავადი მიხეილი და მისი სასიამაორო ერთმანეთს ქრისტეს აღდგომას ულოცავდნენ. ფათი? ფათი კი მეორე დღეს ქალაქის საავადმყოფოში მკვდარი მიიყვანეს, მას არც გარდაცვლილს დაჰკლებია ლანძღვა-გინება, რადგან საავადმყოფოს მსახურები მის გამო ჭამა-სმასა და ქეიფს მოსცდნენ. ჯერ ექიმებმა ჯიჯგნეს საცოდავი ქმნილების სხეული, ხოლო მერე სალდათებმა ჩააგდეს სამარეში და სამუდამოდ მიაყარეს მიწა.. (ყაზბეგი 1948: 384).

როგორც ვხედავთ, ზემოხსენებული ნაწარმოები ზუსტად წარმოადგენს ქალაქური ცხოვრების არსს. კარგად ჩანს, თუ როგორი ბიწიერი, შეუბრალებელი და დაუნდობელია ა. ყაზბეგის თვალით დანახული ქალაქი.

ქალაქური ყოფის ამსახველ მოთხრობათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია „ჩინოვნიკი ელურიძე“, რომელიც 1882 წელს გაზეთ „დროებაში“(№ 238-239) დაიბეჭდა. მწერალი ნათლად გვისახავს ქართული რეალობისთვის დამლუპველი რუსული „ცივილიზაციის“ კვალს და ჩვეული სიმძაფრით გადმოგვცემს ერთი პატიოსანი, გულუბრყვილო ჩინოვნიკის ტრაგედიას.

თევდორე სოლომონის ძე ელურიძე უკანონო შვილი იყო, რომელიც დედის გარდაცვალების შემდეგ გარდაცვლილის ამხანაგმა შეიფარა და ასწავლა წერა-კითხვა. ჩინოვნიკებისაგან განსხვავებით, არც ლოთი იყო და არც მოთამაშე, ამიტომაც ორმოცი წლის ასაკში დაგირავებული სახლის შესყიდვა მოახერხა. ნაწარმოებში კარგად ჩანს ელურიძის მუდმივი შიში საზოგადოების იმ მიმართ, რომელიც დაუნდობლად და ბოროტად ჰყავს გამოყვანილი ავტორს. თევდორე ელურიძემ მოიყვანა ლოთი ჩინოვნიკის შვილი, რომელსაც მამა სასმელის გამო სცემდა და ყველაფერს უყიდდა. დიდი გაჭირვებისა და მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად პატიოსან ჩინოვნიკს შეეძლო თავისსავე ბინაში ეცხოვრა ტკბილად, თავის ცოლ-შვილთან ერთად, მაგრამ მისი ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა, როდესაც გამოჩნდა რუსი ანტრეპრენიორი.

„ყაზბეგის აზრით, მეფის რუსეთის მოხელეებმა შემოიტანეს მორალური გახრწნა, რითაც ბევრი დასნეულდა. მათ ხელში ადამიანი გეომეტრიული სხეული იყო და არც უნდოდათ და ვერც ხედავდნენ ადამიანის შინაგან ქვეყანას. სულ სხვა იყო თემი. აქ სასოებაა, შიშა შეცდომისა, აქ დამნაშავე საფლავთან ლაპარაკობს და მსაჯულებიც „ღვთის პირით“ ეკითხებიან“ [კოტეტიშვილი 1965: 569].

სწორედ ეს პრობლემაა ასახული ამ ნაწარმოებში, სადაც გაქნილი მოხელის ემპაკობა და ბოროტება ანადგურებს სხვა ადამიანს. კარგად ჩანს გაუნათლებლობის სავალალო შედეგებიც, რომლებმაც დაღუპვამდე მიიყვანა ელურიძე: „აქ გაიგო ელურიძემ, რომ იმისი მდგმური რუსული ტრუპის ანტრეპრენიორი არის და რადგანაც ანტრეპრენიორი არ იცოდა რას ნიშნავდა, ძალიან დიდ-კაცად ჩასთვალა“ [ყაზბეგი 1948: 416].

„ელურიძე ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ ბატონი რუსის ანტრეპრენიორი გულით მონადინებულია ქართველების განათლებას, სურდა მათთვის სიკეთე, ამისათვის დიდს პატივსა სცემდა და ეხლა, როდესაც ღვინომ დასძლია, ის ხალხის მხსნელად მიაჩნდა“ [ყაზბეგი 1948: 419].

აგრეთვე კარგად ჩანს ქალაქური ცხოვრების სტილი, სადაც ტფილისის თავანყვეტილი ბარიშნები და კნენები გიჟებსავით დარბოდნენ თეატრში და გაიძახოდნენ:

- ახ, „ღუშკა“, რა მშვენიერია ესა და ეს მომღერალი, რა თვალები აქვს ემა და ემ არტისტს [ყაზბეგი 1948: 420].

ჩინოვნიკ ელურიძესთან ერთად ანტრეპრენიორმა გააბითურა ნახევარი ქალაქი, რომელსაც მწერალი „განათლებულ ევროპელებს“ უწოდებს: „გამოჩნდნენ „განათლებული ევროპელები“, რომელთაც მოისურვეს შეებმა „აზიურს გაუნათლებლობასთან“ და რადგანაც ამ ბრძოლისთვის საშუალება იყო საჭირო, ეს საშუალებაც ადვილად აღმოაჩინეს. საერთო სიღარიბისა და გაჭირვების დროს, სესხად მისცეს ანტრეპრენიორს ექვსიათას თუმნამდინ, თუმცა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ამ ფულს ველარავის გადაახდევინებდნენ, რადგანაც ამ ბატონს სულს აქედ არა გააჩნდა-რა. მაგრამ განა ექვსი ათასი თუმანი იქ სახსენებელია, სადაც ევროპიული განათლების და

ესტეტიურ გრძნობის გავრცელება უნდათ აზიურსა, ველურსა და ბრიყვს ხალხში? რასაკვირველია, რომ არა...“ [ყაზბეგი 1948: 421].

ზემოხსენებულ ციტატაში კარგად ჩანს მთავარი სათქმელი, რომელშიც ავტორი დასცინის ყვეფრ და მეტიჩარა საზოგადოებას. სატირულად არის გადმოცემული „ცრუ ევროპელთა“ ტყუილი გარჯა, რომელიც, რა თქმა უნდა, რუსის წისქვილზე ასხამს წყალს. ალ. ყაზბეგი პირდაპირ ამხელს ცარისტულ რეჟიმს ადამიანების გარყვნასა და გაუბედურებაში, რამაც ელურიძეებისა და სხვათა მორალური, ზნეობრივი თუ ფიზიკური დაღუპვა დააჩქარა.

ნაწარმოები სრულდება იმით, რომ ანტრეპრენიორის თავდებში მყოფ ჩინოვნიკ ელურიძეს მოუწია თავისი ნაწვალეების და ნაოფლარის მევალისთვის მიცემა. მწერალი კრიტიკული რეალიზმისთვის დამახასიათებელი სიზუსტით წარმოგვიდგენს ელურიძის მდგომარეობას: „ის წყნარად ამოვიდა კიბეზედ, ჩამოჯდა დერეფანთან და დაფიქრდა. იმას თვალ წინ წარმოუდგა თავისი წარსული, მოაგონდა თავისი წვალეებული დედა, რომელიც ერთხელ გაიტაცა სიყვარულის გრძნობამ და ამისთვის მთელი თავისი სიცოცხლე მდულარებაში განვლო; მოაგონდა იმისი შემცდენი ინჟინერი, მხეცურის და პირუტყვულის სახით, ლოთი, გარყვნილი და უგულო, რომელიც ელურიძის დედას ცეცხლის ალში ატარებდა. მოაგონდა იმის ავადმყოფობა, იმის უკანასკნელი სიტყვები, ალერსი და სულის დაღევეასთან ერთად ღვთის სახელით სამართლის მოთხოვნა...“ [ყაზბეგი 1948: 424].

მწუხარებით და დარდით აღვსილი ჩინოვნიკი ელურიძე გულგახეთქილი იქვე დაეცა, ხოლო რამდენიმე დღეში ცოლი თავის შვილებთან ერთად უზრუნველად გაუშვეს ტფილისის ქუჩაზედ (ყაზბეგი 1948: 424).

მწერალი ტრაგიზმით აღსავსე რიტორიკული შეკითხვით ასრულებს მძიმე სურათს: „ნეტა ბევრი იპოვებოდა, რომელსაც გროში მაინც ჩაეგდო უბედური დედის გაშვერილის ხელში?..“ [ყაზბეგი 1948: 424].

მწერლის იდეურ-მხატვრული ევოლუციის მთელი სისრულით გაგებისთვის აუცილებელია ყურადღება შევაჩეროთ გენიალურ რომანზე, რომელსაც უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ყაზბეგის შემოქმედებაში (ქართული... 1974: 383).

„რომანი „განკიცხული“ თავისი თემით და მხატვრული თავისებურებებით გაცილებით უფრო ახლოს დგას XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმის ტრადიციებთან, ვიდრე მთის ციკლის მოთხრობები. ამ მხრივ ეს ნაწარმოები თავისებური დაგვირგვინებაა იმ ხაზისა, რომელიც მწერლის ადრინდელ შემოქმედებაში წარმოდგენილი იყო „საქართველოს ბომონდით“, „დავითის სახლობითა“ და ზოგიერთი სხვა ორიგინალური და გადმოკეთებული ნაწარმოებით“ [ქართული... 1974: 383].

ქართული თეატრის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ქეთო ანდრონიკაშვილი იხსენებს: „წინა დღეს მე წავიკითხე მისი მოთხრობა „განკიცხული“ და როცა მივედი რეპეტიციაზე, დიდი ალტაცებით მივმართე სანდროს და ვუთხარი: არ ვიცოდი, რომ ასეთი ნიჭიერი მწერალი ყოფილხარ-მეთქი, რად გინდ შენ სცენა, დაანებე თავი და მიმართე შენს უკვდავ კალამს მეთქი. სანდრომ ამაზე მიპასუხა: „მაშ თუ აგრე მოგწონს ჩემი ნაწერები, აბა რეპეტიციას რომ გავათავებთ, წამოდი ჩემთან და წავიკითხავ რამდენიმე ნაწერსო. მაქვს დანერილი „ფათი“, „ნინო“ და „მამის მკვლელო““ [ცხოვრება... 1988: 250-251].

„განკიცხული“ დაიბეჭდა 1884 წელს „ივერიაში“ (№ 1-2) და გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო ცენზურისა და მკითხველის დიდი ყურადღება. სამწუხაროდ, არც ყაზბეგის პირად არქივში და არც საცენზურო კომიტეტის საქმეებში არ მოიპოვება რომანიდან ამოღებული XIV და XV თავები (ქართული... 1974: 383-384).

ცნობილია, რომ ეს არის ავტობიოგრაფიული სახის ნაწარმოები, სადაც ავტორი გვესაუბრება ლევანის სახით. ა. ყაზბეგს ჰყვარებია თავისი ნათესავი ქალი, რის გამოც მას აუმხედრდნენ ნათესავები და არ მისცეს მისი შერთვის უფლება. ეს ქალი შემდეგ პორფირე ბარათაშვილმა შეირთო (რადიანი 1953: 96).

„ადამიანის ბედი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, პიროვნების კონფლიქტი საზოგადოებასთან - ამ ნაწარმოების მთავარი თემაა“ [ახალი... 1975: 214].

მწერალს წინ აქვს წამოწეული პიროვნებისა და საზოგადოების კონფლიქტის ეთიკურ-მორალური მხარე. ნაწარმოების მოქმედი გმირები - მარი და ლევანი ცდილობენ დაძლიონ ირგვლივ არსებული დოგმები და ბარიერები, მაგრამ უძლურნი არიან ოფიციალური კანონის წინაშე, რომელიც ხალხზეა მორგებული. მორალური პრინციპების

მატარებლად გამოყვანილია პორფირუშკა და მისი და სოფიო, რომელნიც ზუსტად გამოხატავენ იმდროინდელი საზოგადოების სახეს. მათ ცხოვრებისეულ მიზანს წარმოადგენს სხვისი ძარცვა-გლეჯვა. მეტიც, ისინი ერთმანეთსაც კი არ ინდობენ: „ამისმა მომდევნო გაუთხოვარმა დამ, საკმაოდ გამოქნილმა და უქმრობისგან გაბრაზიანებულმა, მაგრამ ბევრით უფრო ჭკვიანმა თავის ძმაზედ, მალე ჩაიგდო ხელში უხასიათო პორფირუშკა და ისე ჰყვლეფდა, როგორც კი შეეძლო“. [ყაზბეგი 1950: 168]

„ბრწყინვალე გვარის ნაშიერს, ცნობილი ოჯახის წევრსა და საზოგადოებაში პატივცემულ პორფირულ გველესიანს სინამდვილეში სრულიად ატროფირებული აქვს ხასიათის ყველა ის თვისებანი, რომელნიც ადამიანურ ღირსებას შეადგენენ. ერთადერთი ძლიერი ემოცია, რომელიც მის მოქმედებას უდევს საფუძვლად, პატივმოყვარეობის გრძნობაა. სხვათა შორის, ეს თვისება მას განსაკუთრებით ანათესავებს ევროპული კრიტიკული რეალიზმის, კერძოდ, XIX საუკუნის ფრანგული კლასიკური რომანის პერსონაჟებთან“ [ქართული... 1974: 384].

სწორედ ასეთ ხალხში ჩავარდა მარი, რომელიც დედამ პორფირეს „სარფიანად“ მიათხოვა. სოფიო მარის სახით პოტენციურ მოწინააღმდეგეს ხედავდა, შესაბამისად მისი გაბოროტებული გული მხოლოდ და მხოლოდ მარის ჩავერისკენ იყო მიმართული. ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ამ ნაწარმოებს განასხვავებს მთის ნაწარმოებებისგან, არის ის, რომ მარისა და ლევანის სიყვარული არ არის ვნება, რომელიც პირველივე შეხვედრისთანავე ჩნდება მთიელი გმირების სულში. ეს არის ორი მონათესავე სულის კავშირი, რომელმაც ნელ-ნელა დაბადა მათი სიყვარული და მეგობრობა. ამას ერთვის ლევანის მორალური მხარეც, რომელიც წინ ელობება მათ სიყვარულს. ლევანი აქაც არ ჰგავს ყაზბეგის მთიელ გმირებს, რომელთათვისაც შედარებით უცხოა გრძნობა-გონების ჭიდილი. იგი ცხადად აცნობიერებს, რომ „ვაგლახ შეუყვარდა“ მარი, რომელიც სხვას ეკუთვნოდა და ეს მის ზნეობრივ მხარეს ჩირქს სცხებდა. მთიელი გმირები მეტად ალალი ბუნების შვილნი არიან და სიყვარულიც ხალასი გრძნობაც უფრო ძლიერად ფეთქავს მათ ძარღვებში (ახალი... 1975: 216-217).

განსაკუთრებულად თვალშისაცემია ბუნების როლი ამ ნაწარმოებში და ზოგადად ყაზბეგის შემოქმედებაში. ვ. კოტეტიშვილი სამართლიანად აღნიშნავს: „ის სინამდვილე,

რომელიც ალ. ყაზბეგის თვალწინ იყო გადაშლილი, მისი გავებით ყალბი იყო და მიუღებლად ეჩვენებოდა, როგორც ზედმეტი ცოდვით დამძიმებული; მის თვალში, თანამედროვე ადამიანი უბედური იყო და ამ უბედურობას ორი სათავე ჰქონდა: 1. ადამიანისა და ბუნების გაყრა ერთმანეთისაგან, 2. პიროვნების გათქვეფა იმ უსახელო მასაში, რომელსაც ბურჟუაზიული ცივილიზაცია ჰქვია. აქ არის იმ დისჰარმონიის დასაწყისი, რომელიც პირველყოფილ ცოდვასავით ღრღინის ადამიანის სულს“ [კოტეტიშვილი 1965: 544].

სწორედ ამას გრძნობს ლევანი, რომ ბუნებას არის მონყვეტილი, ამიტომაც იგი მოკლებულია ბედნიერებას. მწერლის აზრით, ბედნიერება მთლიანობაშია, სადაც ადამიანი ბუნებასთან ჰარმონიაშია და შესაბამისად, ბუნების წიაღში მყოფი ადამიანი უფრო უშუალოა, ხალასია. შემთხვევითი არ არის, რომ ლევანი ყოველთვის მისწრაფვის ბუნებისკენ, მისი და მარის ბედნიერებას ხომ მუშტაიდის ბალის ხეებქვეშ იფრქვევა, სადაც ისინი იცილებენ იმ შტამპებს, რომელიც მათ საზოგადოებამ არგუნა (ახალი... 1975: 218).

ლევანის შინაგანი მორალი და პატიოსნება გამოხატულებაა ხალხის ჭეშმარიტი სინდისისა: „გადავწყვიტე, რომ ჩემს გრძნობას, რამოდენადმე უნდა გაეზიდა, დამცირებამდის არ მივსულიყავ, არ მეღალატა იმ შეხედულებისათვის, რომელიც ხალხს სინდისის მოვალეობად მიუღია“ [ყაზბეგი 1948: 168].

„ხალხის სინდისს“ ყაზბეგი მთის ნაწარმოებებში თემის სახით წარმოგვიდგენს, მაგრამ „ბარში“ სინდის-ნამუსის სხვანაირი გაგება სუფევს. მორალის ცნება ყალბი და მოჩვენებითია (ახალი... 1975: 218).

ზუსტად ასეთი პერსონაჟია პორფირუშკა, რომლის პატივმოყვარეობაც უფრო მეორად ინსტინქტს წარმოადგენს, ვიდრე თანდაყოლილ ორგანულ თვისებას. მას, როგორც მამაკაცს, საერთოდ არ ანაღვლებს მარის ღალატი. მისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ხალხმა არ გაიგოს ამის შესახებ. ეს ფაქტი მისთვის დამლუპველია იმდენად, რამდენადაც გარეგნულ „რესპექტაბელობაზე“ დაფუძნებული საზოგადოება მას ქილიკისა და კრიტიკის ქარცეცხლში გახვევს. ამიტომაც, როგორც „მაღალი საზოგადოების წევრს“, სახელის გატეხას ყველაფერი ურჩევნია: „იმისათვის გაძლევ ყველაფერის ნებას, ოღონდაც ხალხი ჩემად იყოს“ . ეუბნება იგი მარის. ამდენად, პორფირი და ის

საზოგადოება, რომელის ეთიკური პრინციპების მატარებელია იგი, განძარცვულია ყოველგვარი მორალისაგან“ (ახალი... 1975: 219).

ყურადსაღებია ისიც, რომ პორთუგუზა და შინაბერა სოფიო ცხოვრობენ ახალ დროში, რომელიც არ ითვალისწინებს არისტოკრატიულ წარმომობას სათანადო ქონებრივი ბაზისის გარეშე. თუ წინათ „მაღალი ფენის წარმომადგენლობას“ მხოლოდ სახელით გაჰქონდა თავი, დღეს კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული ცხოვრების დამკვიდრებისთანავე საჭირო გახდა ფული, რომელიც მამოძრავებელ ძალად მოევლინა ახალ დროებს. ამიტომაც „ოჯახის პრესტიჟი“ პირდაპირ კავშირშია მატერიალურ კეთილდღეობასთან და პორთუგუზს ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საზოგადოებამ მისი ოჯახის „იდილიური“ მხარე დაინახოს (ქართული... 1974: 384-385).

„განკიცხულში“ დიდი რეალისტური დამაჯერებლობით შიშვლდება პრივილეგირებული საზოგადოების წარმომადგენელთა მტაცებელი ბუნება. ამას ამტკიცებს ცენზურის მიერ XIV – XV თავების ამოღება, რომლებშიც სავარაუდოდ მოქმედება პოლიციაში მიმდინარეობს. პორთუგუზასა და სოფიოსგან მომავალი ბოროტება დასაყრდენს სახელმწიფოებრივ ძალმომრეობაში ჰპოვებს (ქართული... 1974: 385).

„ამგვარად, „განკიცხული“ ავტორის ჩანაფიქრით, შეიცავს ექსპლუატატორული საზოგადოების არა მხოლოდ ზნეობრივ, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ მხილებას“ (ქართული... 1974: 385).

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებით „მთის“ ნაწარმოებათა გმირებისგან, „განკიცხულის“ გმირთა მსოფლშეგრძნება მეტად პესიმისტურია. მათ, ისევე როგორც „ელგუჯას“ გმირებს არ შეუძლიათ ობიექტური, უხეში ძალის დამარცხება, მაგრამ „მთის“ ნაწარმოებებში უკვე ჩნდება ბედთან შეურიგებლობა და მებრძოლი ჰეროიკა, სასონარკვეთილი, მაგრამ მაინც ქედუხრელი ოპტიმიზმი, რაც „განკიცხულში“ არ არის (ახალი... 1975: 220-221).

მკათიოდაა გამოხატული ქალაქისა და მთის განმასხვავებელი სპეციფიკა: „ეხლა დავდივარ სოფლიდან სოფელს, სადაც ხალხს ჯერ იმ დამცირებამდისინ არ მიუღწევია, სადამდინაც ქალაქებში მცხოვრებნი მისულან... ქვეყანა ჯერ კიდევ არ დაცემულა, მათმ

კიდევ მოიპოვება გულკეთილი ხალხი და მათთვის ზრუნვა კი ღირს ზრუნვად, ისინი მანუგეშებენ და დანაღვლულს გულს შვებას აძლევენ“ [ყაზბეგი 1948: 242].

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მწერალი ამ ნაწარმოებში თვალნათლივ ავლენს ღრმა სიყვარულს ჩაგრულთ მიმართ. „განკიცხული“ დიდი მხატვრული სიმართლითა და „ნატურისადმი ერთგულებით“ ასახავს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული საზოგადოების სინამდვილეს. ამასთან ერთად კი უნდა ითქვას ისიც, რომ ქალაქის თემაზე შექმნილ სხვა მოთხრობებთან შედარებით იგი ყველაზე უფრო სრულყოფილი და დახვეწილი რომანია როგორც ფორმის, ასევე სტილის მხრივ.

თავი 3. ქალაქის ყოფა ალექსანდრე ყაზბეგის დაუმთავრებელ მოთხრობებში

როგორც ვიცით, ა. ყაზბეგის შემოქმედებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი მიუძღვის დაუმთავრებელ მოთხრობებს, რომელთა უმეტესი ნაწილიც ქალაქის თემაზეა შექმნილი. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია მოთხრობა „ბედშავი“, რომელიც თავდაპირველად 1883 წელს დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში, (№ 40-41). ტექსტის დასასრულს აღნიშნულია „გაგრძელება“, მაგრამ მოთხრობის გაგრძელება არ დაბეჭდილა მაშინდელ გაზეთებში.

მოთხრობის დასაწყისშივე ვხვდებით ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ნაწარმოები „ფათის“ იდენტურ პრობლემატიკას: „მკითხველები ათვალთქმობდნენ „დღიურს“, ეძებდნენ რამე გასართობს, საინტერესოს, სხვათა შორის კითხულობდნენ ზემო მოყვანილს ამბავსაც და ერთს კი არ მოუვიდოდა აზრად დაფიქრებულიყო, ვინ იყო ეს საცოდავი, რომელიც საქართველოში, შედარებით ბევრით უფრო თბილს ვიდრე ჩრდილოეთის მხარე ქვეყანაში, ჩვენს დედაქალაქში ასე უპატრონოდ როგორ გამქრალიყო ეს საცოდავი?“ [ყაზბეგი 1950: 177];

ცალსახაა, რომ მწერალს უნდა დაგვანახოს, თუ რაოდენ გულგრილია ქალაქური გარემო ასეთი სენტიმენტების მიმართ. მაშინ, როცა ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში მთა გვევლინება ჩაგრულთ თავშესაფრად და მოყვასის გულშემატკივრად, ქალაქი წარმოადგენს ყრუ, დიდ და გაუგონარ ადგილს, რომელსაც ყოველგვარი ტკივილისა და ემოციების გარეშე შეუძლია შთანთქმას ადამიანის სიცოცხლე.

თავადმა ივანე მახარაძემ, რომელსაც ავტორი მხიარულ, უზრუნველ, მოქეიფე და ძველი ყაიდის ქართველად გვაცნობს, შეერთო ცოლი, რომელსაც მზითვის გოგოდ მოჰყვა ყმანვილი და ლამაზი მარო, შემდგომ ვარდისახარად წოდებული. კარგად ვხედავთ ივანეს ცხოვრებისეულ შეხედულებებს, რომლებშიც იგი ცოლის ღალატს არათუ ეწინააღმდეგება, არამედ პირიქით, მოსაწონ საქციელადაც მიიჩნევს. მისი გადმოსახედიდან კაცი ფასობს იმით, თუ რამდენად მეტ ვარდს მოჰკრეფს ის თავის ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, ავტორმა ივანეს ცხოვრებისეული კრედიტ მის საქმიანობას -

სამხედრო სამსახურს მიაწერა და ირონიულად დასძინა: „მაშ რის სამხედრო სამსახურის კაცი იქნებოდა, თუ ასე არ მოქცეულიყო?“ [ყაზბეგი 1950: 178];

მიუხედავად ამ ყველაფერისა, ივანე რამდენადმე წინდახედული და ეშმაკი კაცი აღმოჩნდა. მხოლოდ და მხოლოდ დაფუძნების მიზნით, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტ გრძნობასთან, მან მოიყვანა კარგი გვარის, კარგი ნათესაობის, ყმითა და მამულით გამართული ცოლი: „ივანემაც მოიაზრა, რომ ზარალში არ იქნებოდა, ელისაბედის ნათესაობა შეენეოდნენ ცხოვრებაში, და შეერთო.“ [ყაზბეგი 1950: 178];

სახლობაში სიამოვნებას მოკლებული თავადი გარეთ ეძებდა გართობას და დროის გატარებას, ანდაც კიდევ სტუმართა დაპატიჟებით ცდილობდა შფოთის აცილებას ანჩხლ ელისაბედთან, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავიდანვე არ ჰყვარებია ივანეს. ერთ საღამოს ცოლთან უთანხმოებაზე გაბუტული ივანე ვარდისახარს დააკვირდა და გულმა ძგერა დაუწყო. ის აქამდე არასდროს დაფიქრებულა ამ ყველაფერზე და თვითონაც უკვირდა, თუ როგორ ვერ ამჩნევდა თავისი მახინჯი ცოლის გვერდით ასეთ უმშვენიერეს არსებას (ყაზბეგი 1950: 177-179). იგივეს ვერ ვიტყვით მოახლე გოგომზე, რომელსაც დიდი ხანია შეემჩნია თავისი ბატონის სილამაზე: „ამ გოგოს არა ერთხელ შეემცნია ბატონის ლამაზი სახე, ვაჟკაცური მკერდი, კობტად გადაგრეხილი უღვაშები, არა ერთხელ ენახა თავისი მახინჯი ქალბატონის გვერდით. ელისაბედ სრულიად მოპირდაპირე სურათს წარმოადგენდა და არა ერთხელ შებრალებოდა ივანე. ერთკენ იყო მშვენიერება, მეორედკენ სიმახინჯე. ერთკენ სიცოცხლით სავსე მძგერავი გული, მეორედკენ კი ავადმყოფობით გალეული. ერთი იყო აღგზნებული საკირე, მეორე კი ჩამქრალი ფერფლი.“ [ყაზბეგი 1950: 179];

მარტივი მისახვედრია, რომ ვარდისახარის ამ სიბრალეულში გამოითქმოდა ქრდულად შეპარული სიყვარული, რომელიც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. „ისინი ჩაცვივდნენ იმ მდგომარეობაში, როდესაც კაცს ყოველისფერი ავინწყდება, როდესაც სიტყვა წყდება და მარტო გრძნობალა მეფობს!.“ [ყაზბეგი 1950: 180];

კარგად არის აღწერილი ბატონყმობის ჯერ კიდევ დიდი გავლენა, რომელიც ორ სხვადასხვა ფენის ადამიანს თვით ისეთ ძლიერ გრძნობაშიც კი აფერხებდა, როგორიც სიყვარულია. მართალია, თავდავინწყების მომენტში ეს ყველაფერი ვნებამ შთანთქა,

მაგრამ ავტორი ხაზგასმით გვიჩვენებს ბატონისა და ყმის რეალურ მდგომარეობას: „ბატონი და ყმა თავდავინწყებაში იყვნენ. დავინწყებოდათ ის საშინელი უბსკრულიც, რომელიც იმათ აშორებდა. იმ წუთებში ისინი გრძნობდნენ, რომ იყვნენ ადამიანები, ერთ რიგად გაჩენილნი, ერთისა და იმავე მოთხოვნილებით, ერთისა და იმავე ნებით. ჰგრძნობდნენ, რომ იმათთვის ბუნებას მიეცა ეს გრძნობა და ისინიც ანგარიშ მიუცემლად სარგებლობდნენ.“ [ყაზბეგი 1950: 180];

ამ ყველაფრის დამნაშავე ელისაბედი, რაღა თქმა უნდა, გაანჩხლდა, გაკაპასდა და მოახლე გოგოს თმებზე დაუნყო წინკნა. პირველი, რაზეც ელისაბედმა ივანე დაძრაბა, მოახლე გოგოსთან ღალატი იყო: „ყოველისფერი, ყოველისფერი ვნახე... ბრმა ხომ არ ვიყავი, რო არ მენახა! - ყვიროდა და მოსთქვამდა ცოლი. არა, გოგო, უბრალო მოახლე გოგო როგორ ირჩიე, შე უსვინდისოვ, შენა?... რიგიანი რო ყოფილიყო ვინმე კიდევ ჰო, თორემ მოახლე, უბრალო გოგო?... არა გრცხვენიან?... ნამუსი აღარა გაქვს?“ [ყაზბეგი 1950: 181];

ამ ეპიზოდისგან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, თუ მართლა რაოდენ დიდი განსხვავება და ხილჩატეხილობაა საზოგადოების ორ ფენას - ბატონსა და ყმას შორის. ელისაბედი, რომელსაც მეუღლემ უღალატა, დარდობს მხოლოდ იმაზე, რომ ღალატის ობიექტი იყო არა ვინმე დიდგვაროვანი, არამედ უბრალო მოახლე გოგო. მარტივი მისახვედრია წარმოდგენები და შეხედულებები ამგვარი ხალხისა ცხოვრებაზე, რომელთა წარმომადგენელი თვით დამნაშავე ივანეც იყო: „ივანეს შერცხვა, ცოლის სიტყვებში საბუთი დაინახა და ეცადა თავის გამართლებას.“ [ყაზბეგი 1950: 181];

თავადი, რომელიც რამდენიმე წუთის წინ ვნებააშილილი მოახლე გოგოს „უყადრებდა“ თავს, ახლა ცოლის წინაშე დარცხვენილი იყო არა იმიტომ, რომ უღალატა, არამედ იმიტომ, რომ მოახლე გოგოსთან უღალატა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ივანე მოხერხებული კაცი იყო და მარტივად დაიძვრინა გაკაპასებული ცოლისგან თავი. მან უარყო ყოველივე და დააჯერა ცოლს, რომ ვარდისახარი მხოლოდ ღილს უკრავდა. კარგად ჩანს ელისაბედის ახირებული ხასიათიც, როდესაც ის მეუღლეს ვარდისახარის გაგდებას სთხოვს, ხოლო შემდეგ კი პირიქით,

დატოვებას. ივანეს ელისაბედისადმი ზიზღი ვლინდება მაშინაც, როდესაც იგი ცოლის დაუინებელი მოთხოვნით კოცნის მას და იმ წუთსავე ინმენდს ტუჩებს.

საბოლოოდ, ვარდისახარის სილამაზით დაჩრდილული და გაბოროტებული ელისაბედი თმას შეაჭრის მოახლე გოგოს. იმხანად შეჭრილი თმა ავადმყოფობის ან როსკიპობის მანიშნებელი იყო. სწორედ ამიტომ ვარდისახარი გადაწყვეტს, რომ საზოგადოებაში არ გამოესვლებოდა, რადგან ყველგან დაცინვის ობიექტი გახდებოდა და უნდა გადაკარგულიყო.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მოთხოვას აქვს გავრძელება, თუმცა ისიც არასრული სახით. სწორედ მეორე ნაწილიდან ვეცნობით, თუ რა ბედი ენია უპატრონოდ დარჩენილ ვარდისახარს. მწერალი დიდი ოსტატობით აღწერს იმ საბედისწერო ღამეს, რომელმაც მოახლე ქალი განაშორა თავის ქალბატონსა და ოჯახს: „ღამე იყო ცივი, ქარიანი, ერთი ისეთი ღამეთაგანი, რომელიც კაცსა სთოშავს და უყინულებს სხეულს. ქარი ხანგამომშვებით ზუზუნით დაბერავდა და თან მოჰქონდა უსიამოვნო უინჟული. ღრუბელი, რომელიც შავად გადაჰკროდა ცას, უფრო მეტად აბნელებდა თფილისის ქუჩებს. ათასში ერთგან მოჩანდა ანთებული ფანრები, რომელნიც კრთალად ბუუტავდნენ და ვერ ასრულებდნენ თავიანთ დანიშნულებას.“ [ყაზბეგი 1950: 484].

ავტორი სათუთად გვიხატავს ახალგაზრდა ქალის მძაფრ შეგრძნებებს, რომლებიც ერთმანეთში ირევა და ებრძვის მის გადანყვეტილებებს: „მაგრამ რა მოაჭირს მიაღწია და გადახედა მტკვარს, რომელიც ქუხდა, ტრიალებდა, ათას ადგილას გაიპობოდა და ხრიალით ჩასთქამდა ყინულებს, შეეშინდა და უკან მოაწყდა. - არ შემოძლიან! მწუხარებით წარმოსთქვა იმან და ხმაში კანკალი დაეტყო. აშკარად ეტყობოდა იმედებით სავსე ყმანვილ ვარდისახარს, რომ ეძნელებოდა სიცოცხლესთან გაშორება, ცხოვრება უქადდა მხიარულებას, სიამოვნებას, ალერსს, მომავალი იმდენ ტკბილს სასიამოვნო სურათებს უხატავდა, იმდენს ნეტარებით სავსე წუთებს ჰპირდებოდა და ამის მაგიერ დახე მუხდალმა ბედმა რა მიაგო!“ [ყაზბეგი 1950: 484].

ალექსანდრე ყაზბეგს მაღალი მხატვრული ღირებულებებით აქვს დახატული ამ ახალგაზრდა ქალის მდგომარეობა, როდესაც იგი გაორებული ებრძვის საკუთარ თავს, სურვილებსა და სინდისის გრძნობას. საზოგადოებაში გამოჩენის სირცხვილს ცვლის შიში,

შიშს სიამაყე და სინდისის ქენჯნა. საბოლოოდ, გონებამიხდილ ვარდისახარს, რომელიც მტკვარში ვარდებოდა, უცნობმა ყმანვილმა დასტაცა ხელი და გადაარჩინა. როგორც ნაწარმოებიდან ვხედავთ, ამ ყმანვილს არტემი ჰქვია. მას გულნასული ქალი სახლში მიჰყავს, სადაც კიდევ ერთი მეგობარი ელოდება.

ნაწარმოებიდან ჩანს, რომ არტემი და მისი მეგობარი რაღაცას ემალებიან და ცდილობენ არ მიიპრყონ საზოგადოების ყურადღება. მოთხრობა მთავრდება იმით, რომ გულნასულ ქალს ტანთ ხდიან და ახალ ქვეშაგებში აწვენენ.

საინტერესოა, თუ რა ბედი ეწეოდა შემდგომში ვარდისახარს, თუმცა ეს მხოლოდ მწერლის გონებაში იყო აღბეჭდილი და სამწუხაროდ ჩვენამდე ვერ მოაღწია.

მოთხრობაში „დარო“ მწერალი ქალ-ვაჟური სიყვარულისა და ვნებების აღწერით შემოიფარგლება. ეს ნაწარმოები პირველად დაიბეჭდა 1916 წელს ალმანახ „მერანში“. სარედაქციო შენიშვნიდან ვიგებთ, რომ ამ მოთხრობის ხელნაწერი სტეფანწმინდაში აღმოუჩენია იოსებ გრიშაშვილს.

ავტორი თხრობას იწყებს თბილისის ერთი მივარდნილი ქუჩის აღწერით, სადაც მეტწილად უპატრონო და ღარიბი ხალხი ცხოვრობდა. თითქოს სიმბოლურია, რომ ასეთ მოუვლელ და გაჭუჭყიანებულ სივრცეში ერთი მღვმურის - დაროს სუფთა სახლი მოჩანდა. მწერალი ჩვეული სინატიფით აღწერს მკერავის პატარა სახლს, რომელიც მართალია ძველია, მაგრამ მონესრიგებული.

დაროს პერსონაჟი ძალიან ახლოს დგას „ფათისთან“, რომელთაც საერთო ბევრი რამ აქვთ. პირველი ის, რომ ორივე მკერავი იყო. ამასთან ერთად ორივე ობოლი და მეტად სიმწარეგამოვლილი ცხოვრებისგან. მართალია, ფათის დახასიათება მწერალს უფრო სრულყოფილი გამოუვიდა, მაგრამ დაროს ხასიათის თვისებების ამოცნობაც შეიძლება მოთხრობის მიხედვით. მასაც ფათის მსგავად უამრავი ახალგაზრდა ეარშიყებოდა, მაგრამ მისი გულის აჩქარება მხოლოდ ერთ ადამიანს - ვანოს შეეძლო. 17 წლის გოგო მოუთმენლად ელოდა ვანოს გამოჩენას, რომელიც თავის მხრივ ასევე ცდილობდა დაროსთან დაახლოებას. კარგად არის დახატული ვანოს ფსიქოტიპიც, რომელიც თავადი მიხეილის მსგავსად, უგულო მექალთანე აღმოჩნდა: „იმას ვერ წარმოედგინა ისეთი ქალი, რომელიც მას დიდხანს გასძალიანებოდა, რადგანაც

ზოგიერთ „ბარიშნებთან“ ნაცნობი, ის პირველსავე შეხვედრაზედ მათგან ოხვრის და გმინვის მოსმენას იყო შეჩვეული“ [ყაზბეგი 1950: 204];

მას შემდეგ, რაც ვანო დაუახლოვდა დაროს, ამ უკანასკნელმა მოსვენება დაკარგა და მის გულს რაღაც უცნაური სიტკბოება შეეპარა: „ამითი მტკიცდებოდა, რომ ჯერეთ გაურყვნელი ყმანვილი გული თავის დანიშნულებას ხარკს აძლევდა და მიიბრძოდა იმ გრძნობისაკენ, რომელიც ბუნებას იმის ხნის და სქესის დანიშნულებით გაეჩინა“ [ყაზბეგი 1950: 206];

მწერალს აქაც კარგად აქვს აღწერილი საზოგადოების უარყოფითი მხარე, როდესაც დაროს ადარდებს, თუ რას იტყვიან მეზობლები ვანოს დანახვაზე:

- „მაშ რას იტყვით, დარო, ნებას მომცემთ ხანდისხან თქვენთან ვიარო?“

- რას იტყვიან მეზობლები?

- ხალხი ბოროტია, ბოროტს კი მართო სიბოროტე შეუძლიან ილაპარაკოს!.. თქვენ რა გენაღვლებათ, რაც უნდა თქვან?

- მართალია, მაგრამ...

- თუ ხალხის ლაპარაკს მივყევით, ეგრე ხომ ყოველ ბედნიერებაზედ უარის თქმა მოგვინდება? არა, დარო, ხალხის მიზეზით ნება არა გვაქვს ჩვენს თავს უარი უთხრათ იმ ბედნიერებაში, რომელიც კაცს სიცოცხლეში ერთხელ ეძლევა...

- მე..

- თქვენ რაც უნდა სთქვათ, - გაანყვეტინა ვანომ, - როგორც უნდა დამტუქსოთ, მე მაინც მოვალ, დღესვე მოვალ!.. გამომავდეთ თუ გული მაგისთანა სასტიკი გადახდენების ნებას მოგცემთ!

- არა, არა, ნუ მოხვალთ! - საჩქაროდ და შეშინებით უპასუხა დარომ და თავის დაკვრით საჩქაროდ მაღაზიაში შებრუნდა.

ლევანმა კი სიამოვნებით წარმოსთქვა: „საქმე გაიჩალხა“ და წყნარად გამობრუნდა, შტვენით და წკეპლის ქნევით გაემართა ბულვარისკენ, სადაც სხვადასხვა გვარად მორთულს ქალებს მომხილბლავის ღიმილით ყურება დაუნყო“ [ყაზბეგი 1950: 206-207];

ნათელია, თუ რა მიზანი ამოძრავებს ლევანს. საპირისპიროდ ლევანისა, დარომღე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი გულუბრყვილო ბუნება იმდენად ალტაცებულია

ახალგაზრდა კაცის თავაზიანობითა და სილამაზით, რომ მოსალოდნელ საფრთხეს ვერ აცნობიერებს. შ. რადიანი სამართლიანად აღნიშნავს: „მის ნაწარმოებებში გამოყვანილ ქალებს ახასიათებთ მგრძობელობა, მაგრამ ამავე დროს ისინი პატიოსნებით აღვსილნი არიან. მათ განუსაზღვრელად შეუძლიათ სიყვარული, მზად არიან სიცოცხლეც კი გასწირონ ამ კეთილშობილი გრძობისათვის“ [რადიანი 1953: 177].

ნაწარმოები სრულდება საკმაოდ საინტერესოდ, სადაც დაროს მეზობელი მოხუცებული ქალი, რომლის ვინაობაც აქამდე არ გამჟღავნებულია, გზას გაჰყურებს, თითქოს ვიღაცას ელოდება...

ავტორმა ზუსტად მოიტანა ჩვენამდე სათქმელი და კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ ბარის ცხოვრება და მორალი ბევრად ჩამოუვარდება მთაში გაბატონებულ ზნე-ჩვეულებებს.

ფრიალ საინტერესო ნაწარმოებია „ლეილა“, რომელშიც ავტორი პეტერბურგის ერთ გამოჩენილ ქუჩას აღწერს: „ამ შენობის საერთო სახე, უზარმაზარი შუშის ფანჯრები, გაბით გაჩაღებული ოთახები და შიგ კეკლუცად მორთულ-მოკაზმული „მოდისტკები“ ყველას თვალს მიიზიდავდა. მცირე ხანს მაინც არის შეაყენებდა, ვითომც ფანჯრებში გამოფენილს ნივთების გასასინჯათ და საქმით კი კეკლუცს გოგოებს ათვალიერებდა“ [ყაზბეგი 1950: 204].

მოთხრობაში კარგად ჩანს ურბანული ცხოვრების საინტერესო დეტალები, როგორებიცაა სამკერვალო, მდიდრული ბენჯეული, მოდისტკები და ა.შ.

ჩანს, თუ როგორ მლიქვნელობენ მკერავი ქალები მდიდარი ქალბატონების მიმართ, რომელთაგანაც გამოსარჩენს ელიან:

- „ღიას, თქვენო ბრწყინვალეებავ, ღიას! - უპასუხა ერთმა მკერვალ-ქალთაგანმა და განაგრძო: - თქვენს საქმეს როგორ დავაგვიანებდით... როგორ გალოდინებდით? მეტადრე მშვენიერს კეთილს კნეიჟნა ლეილას - დააბოლოა იმან და კეკლუცად შეხედა ყმანვილ ქალს“ [ყაზბეგი 1950: 218];

როგორც ჩანს, ა. ყაზბეგს აქაც ჰქონია გადანყვეტილი ქალ-ვაჟური ვნების სააშკარაოზე გამოტანა, მაგრამ ნაწარმოები წყდება საინტერესო ადგილას. კნეიჟნა ლეილას ფანჯრიდან უყურებს ახალგაზრდა ყმანვილი კაცი, რომელმაც დააბნია

ახალგაზრდა ქალი, გაანყვეტინა პირში სიტყვა და მოსდო სინთლის ალმული, ნიშანი ყმანვილი გულის მგრძობელობისა (ყაზბევი 1950: 219);

გადაჭრით რთულია იმის თქმა, თუ რა გაგრძელება მოჰყვებოდა ამ ამბავს, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყმანვილთა ურთიერთობა, ისევე როგორც წინა ნაწარმოებებში, მხოლოდ ჟინის და სურვილის დაკმაყოფილების მთავარი საბაზი იქნებოდა.

მოთხრობა „კაცი და ქალი“ თბილისის საპიორთა ქუჩის აღწერით იწყება, სადაც ახალგაზრდა ქალს - მარუცას ინსტიტუტი დაემთავრებინა, ხოლო ხალხის თავშეყრის მიზეზიც ის იყო. ამ ყრილობაზე მარუცა მეფობდა, რადგან იმ დროისთვის სასიამოვნოდ მოტიტინე, ცქრიალა და გონებამახვილი, აგრეთვე განათლებული და წერა-კითხვის უბადლო მცოდნე იშვიათად თუ ვინმე იქნებოდა (ყაზბევი 1950: 232).

რალა თქმა უნდა, ასეთი ქალის გამოსვლა შეუმჩნეველი არ დარჩა ყმანვილკაცობისთვის. ყველა ცდილობდა მარუცას ყურადღება მიეპყრო, ყველას უნდოდა მასთან ცეკვა და საუბარი. ავტორი კარგად ხატავს ადამიანისა და მეტადრე ქალის ბუნებას, რომელიც დაინახავს რა მასზე ლამაზს, მასზე ახალგაზრდას, შურითა და ბოროტებით ივსება: „ხშირად გახედავდა მარუცა იქ მყოფ ყმანვილ ქალებს, დიდს ხანს უქმროდ დარჩენილებს, გაბრაზებულებს ბუნებითვე, რომელნიც შურით უბღვერდნენ კურს გათავებულს“ [ყაზბევი 1950: 233]

ყმანვილი ქალი მათ სახეზედ ამჩნევდა გულის მოძრაობას. ხედავდა, რომ მზად იყვნენ ნორჩი გამოუცდელი ყვაილი მინაში ჩაემარხათ, მაგრამ ეს ყველა - მხოლოდ ქალისთვის შესამჩნევი მოვლენა, - არ აბრაზებდა გულწრფელს, ცხოვრებით შეურყვნელს ბუნებას. ქალს ღიმილი მოზდიოდა იმ დროს და ამ გვარი სახის მონყობილება უფრო მეტად ამშვენებდა მის სიტკბობად მიმზიდავს სახეს“ [ყაზბევი 1950: 233];

მარუცამ დაჩრდილა იქ მყოფი ქალები და მათი ბოლო იმედის ყურადღებაც თავისდაუნებურად თავისკენ მიიზიდა. ნაწარმოები სრულდება მარუცას გამოლაპარაკებით ყმანვილ კაცთან, რომელიც დაღონებულია და ამ თავის გულისტკივილს მარუცას უზიარებს.

დაუმთავრებელ მოთხრობათა ციკლში აუცილებლად უნდა გამოვყოთ ნაწარმოებები, რომლებიც უშუალოდ ქალაქური ყოფის მძიმე ხვედრს გვიჩვენებს. ამ მოთხრობებში ისეთივე დიდი დოზით არ არის აღწერილი ადამიანური მორალისა თუ ზნეობის საკითხები, როგორც ზემოხსენებულ ნაწარმოებებშია. აქ ზუსტად ჩანს, თუ რა დიდ გაჭირვებაში ცხოვრობენ ადამიანები ქალაქში, თუ რისი გავლა და რა გაჭირვების მოთმენა უწევთ მათ.

ერთ-ერთი ასეთი ნაწარმოებია „არტისტი“, სადაც ავტორი დასაწყისშივე მძიმე სურათს გვიხატავს. რა უნდა იყოს იმაზე მძიმე სანახავი, ვიდრე ავადმყოფი შვილის სანოლთან მყოფი ცრემლდამშრალი დედა, რომელსაც ავტორი უდიდესი ოსტატობით გვიხატავს: „უცნობი ქალი, რომელსაც თმა ასწვნიდა, სახე შეშლოდა და ფერი მომაკვდავს დამსგავსებოდა, მთლად გაჩქურებული, გაჩუმებული ისე ჩასცქეროდა ავადმყოფს, თითქოს მისი სატკივარი თვალებით უნდა ამოეწყო, გადმოელო თავის თავზე და მით შეემსუბუქებინა საბრალოს მდგომარეობა“ [ყაზბეგი 1950: 212].

კარგად ჩანს დედის განცდები და შვილის ავადმყოფობით გამოწვეული ტკივილი, რომელიც მხოლოდ დედისთვისაა მახლობელი.

ა. ყაზბეგი იმ უარყოფით თვისებებთან ერთად, რომელიც ქალაქში ცხოვრებას მოაქვს, გვიჩვენებს დადებით თვისებებსაც. როგორც ჩანს, მწერალს ბოლომდე არ ჰქონდა დაკარგული ადამიანების ნდობა და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ გაჭირვებაში აუცილებლად გამოჩნდება ადამიანი, ვინც დახმარების ხელს გაუწვდის მოყვასს:

- „მარინე, მე დიდი მადლობელი ვარ შენი... მარტო შენა მყევხარ ნუგეშად და მაგდენის სიკეთისთვის ვერაფრით გადამიხდია...“

- რასა ბრძანებ, გენაცვალე, რა სიკეთე მიმიძღვის?.. თუ ერთხელ, ორჯერ შინ არ ყოფილხარ და ბავშთან დავრჩენილვარ, ეგ რა სამადლობელოა?... თათრებში ხომ არა ვართ? მეზობელმა მეზობელს არ უნდა მიხედოს?“ [ყაზბეგი 1950: 214];

საბოლოოდ, მშობლის მოვალეობის გარდა, თამროს ჰქონდა სხვა მოვალეობაც. იგი უნდა წასულიყო თეატრში და უნდა ეთამაშა როლი ისე, თითქოს მის თავს არაფერი ხდებოდა. ხალხი მოუთმენლად ელოდა თავიანთი საყვარელი აქტრისა თამარის ნახვას

(ყაზბეგი 1950: 216). აქვე გაამახვილა ყურადღება ავტორმა თეატრში მუქთა მოსიარულეებსა და მკვებარებზე, რომელნიც თეატრის ცოდნას იბრალებდნენ და წარმოდგენის დაწყებამდე ადგენდნენ რეცენზიებს.

ვ. კოტეტიშვილი აღნიშნავს: „ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება იმდენად არის უბედურებით დამძიმებული, რომ არც კი შეიძლება ესთეტიკური განზე განდგომა - შესათვასებლად“ [კოტეტიშვილი 1965: 582].

ვფიქრობ, ეს ზუსტი შეფასებაა იმისა, თუ როგორი რთული და მძიმე ცხოვრება აქვთ ა. ყაზბეგის პერსონაჟებს.

მოთხრობაში „**მოტყუებითი ძალდატანება**“ აღწერილია კნინა თამარის მდგომარეობა, რომელიც სრულიად შემთხვევით მოხვდა ამგვარ გარემოებაში. ავტორი იშვიათი სინატიფით აღწერს ცოლ-ქმრის შეხმატკბილებულ ცხოვრებას. დროის უკუღმართობის გამო ქმარს მოუწია უცხოეთში წასვლა, მაგრამ დიდი ხნით. რუსეთ-ოსმალეთის ომის გამო იგი ვეღარ ახერხებდა ფულის გამოგზავნას, რამაც თამარს გადააწყვეტინა სამკაულების გაყიდვა. ნათლად ჩანს, თუ როგორ უყვარს თამარს თავისი მეუღლე: „აი, წარმოუდგა იმისი თხელი მოლიმარი პატარა ტუჩები, ახლათ აშლილი კოკობი უღვაშები, ბრწყინვალე თვალები... ასე გაიტაცა თამარის აზროვნება ქმარზედ ფიქრებმა და ასეთის ჭეშმარიტებით დახატა ცოლის აზროვნებაში ქმრის სურათი, რომ ერთი ხალი, რომელიც X ყურის ბიბილოზე ჰქონდა, ისიც კი არ დარჩა გამოუხატი“ [ყაზბეგი 1950: 237];

მოთხრობა სრულდება თამარისა და მისი მუშტრის - გენერალშას შეხვედრით, სადაც სათაურის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ თამარი მოტყუებული დარჩება.

ერთ-ერთი საინტერესო ნაწარმოები, რომელიც მარტოხელა ქალის გაჭირვებას ასახავს, არის „**ნინოს უბედურებიდან**“. მოთხრობა იწყება პეტერბურგის ქუჩის აღწერით, სადაც ახალგაზრდა ქალი დასადგომად დაეძებს ბინას. ავტორი კარგად გადმოგვცემს ნინოს სულიერ მდგომარეობას და გვიჩვენებს, თუ რა უბედურება ეწვია მას: „რასაკვირველია, მკითხველი მიხვდება ეს ქალი ვინც იყო. ეს იყო წარსულში მდიდარი, უმანკო ნინო, რომელიც მივიდა ამ უბედურობამდინ თავის ქმრის გამოისობით. იმ სინაზეში გაზდილი, იმ განცხრომაში, რომელიც აზარმაცებს კაცსა, ნინო ეხლა უნდა დამდგარიყო

ამისთანა დაძვირებულს სახლში. ნინო დაჩვეული ბძანებას და თავის ბძანების ასრულებას, ეხლა უნდა ტანჯულიყო მუშაობის ქვეშ, რომ დღიური საკვები ეზოვნა თავისთვის და თავის საწყალი შვილისთვის“. [ყაზბეგი 1950: 28].

ავტორი ზედმინვენით რეალისტურად ხატავს რუსეთის ქალაქის ყოფა-ცხოვრებას: „ეს იყო კუხნა, ძალიან ბნელი, რომელშიც კედელთან იდგა სტოლი და გარს ისხდნენ რამთვენიმე დამთვრალი კაცები სხვადასხვა რიგის პირისახეებით. ზოგს იქვე დასძინებოდათ. კუნჭულთან ერთი ქალი, უეჭველათ სახლის პატრონი, სილოთისგან დასიებული პირისახით, თვალზე ამონითლებული ეხვეოდა ერთ თავის მსგავს კაცსა და ჰკოცნიდა. ისინი არა მცირედი არ შენუხდნენ უცნობი პირის შემოსვლაზე და ისევ იმ ტრფიალებში იყვნენ, ვიდრე ნინომ არ შესწყვიტა იმათი ალერსი“ [ყაზბეგი 1950: 241];

ჩემი აზრით, სახლ-კარის ამგვარი აღწერით, მთვრალი სალდათის ხასიათითა და გარეგნული მაჩვენებლებით ავტორი ცდილობს დაგვანახოს, თუ რა „ცივილიზაციას“ ფლობს რუსეთი, თუ რა არის პეტერბურგული ყოფის სახე. ამით მან კიდევ ერთხელ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია ქალაქისა და მთის ყოფა-ცხოვრების შესახებ, სადაც ერთგან ვაჟკაცობა, მეგობრობა და სიყვარულია, ხოლო მეორეგან გაუტანლობა, შური და სიძულვილი.

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში, ქალაქის ყოფის ამსახველ მოთხრობებში ნათლად გამოსჭვივის ერთი რამ. მწერლისთვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელი ქვეყნის ქალაქზეა საუბარი. ის ყველა შემთხვევაში გვიხატავს იდენტურ სურათს - სიღარიბეს, გაუტანლობას, უბედურებას და ა.შ.

ცხადია, რომ ყაზბეგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ქართული ან რუსული ქალაქების აღწერით.

მოთხრობაში „ნინო“ მოქმედება ხდება „ანგლიის პარახოდში“, სადაც უამრავი ადამიანი ირევა. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მწერალი უფრო მეტი სიმძაფრით აღწერს იმ ქალაქის მკვიდრთა მძიმე მდგომარეობას: „მრავალი მშიერი ხალხი, უმამულონი, მისადგურზედ ელოდნენ, რომ ეზოვნათ რაოდენიმე ფული, რომ გამძღარიყვნენ. აქა ნახამდით პატარა ბავშვებსაც, მსხვილ ძარღვიანს პროლეტარიატსაც, რომლებსაცა

ჰქონდათ მცირე ტანისამოსის ნაგლეჯები, რომელიცა ჰფარავდა იმათ ხორცს ანგლიის ნოტიო ცივი ჰაერისგან.

ჰო! მკითხველო!... კაცის ენა ვერ წარმოსთქვამს რა სივინროესა და სიღარიბეს უნდა დაეტანებინა ძალა, რომ იმ სიცივეში, ერთი-ორი გრომის გულისათვის, კანკალებულიყო მთელი დღე კაცი, რომელმაც არც კი იცოდა შეხვდებოდა რამე თუ არა იმ დღეს...“ [ყაზბეგი 1950: 242];

მწერალი აქაც განაქიქებს მაღალი ფენის წარმომადგენლებს და მიიჩნევს, რომ უსამართლობა იყო კობტად ჩაცმული და ლოყებანითლებული ლორდების ფონზე ხალხის ამგვარი გაუსაძლისი მდგომარეობა.

ნინოს, რომელიც სალაროსთან მივიდა და ფრანციაში წასასვლელი ბილეთი იყიდა, ძველი ნაცნობის ხმა მოესმა. ნაწარმოებში ჩანს, რომ ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ, მაგრამ მოთხრობაში ვხედავთ, რომ ნინო თავის შვილთან ერთად მარტო ეძებს მატარებლის ვაგონს. საინტერესოა, თუ რა აზრი ჩადო მწერალმა ამ ეპიზოდში. ნაწარმოები სრულდება იმით, რომ ნინოს ორი უცნობი მამაკაცი აედევნა, რომლებიც ფრანგულად საუბრობდნენ და ნინოს შეურაცხყოფას აყენებენ.

ქალაქური ყოფის ამსახველი ერთ-ერთი საინტერესო მოთხრობაა „ზორა“. ნაწარმოები იწყება ბათუმის სანაპიროს აღწერით, რომელშიც ავტორი მხატვრულად აღწერს ქალაქს: „ქალაქ ბათუმში, ზღვის ნაპირას, იდგა ერთი სახლი, რომელსაც მოაჯირიანი ბალკონი ზღვას გადასცქეროდა. ყუჩი და მყუდრო ნავთსადგური ბათუმისა, ნაზის და ოდნავ შესამჩნევის მღელვარებით, ეალერსებოდა იქ შეფარებულს გემებს და ნავეებს. მთვარე, რომელიც ამ ღამეს თითქო განგებ მეტად გაკაშკაშებულიყო, ესროდა სხივებს წვნიკად აცრცილს, ფერფლის მზგავს ნამებს, რომელიც თრთოლაში მოსულიყვნენ ნიავის შეცვლქების გამო. ზღვაზედ ყველა გაჩუმებულიყო, ყველა შრომის შემდეგ, განსვენებას მისცემოდა და აღარ ისმოდა მონავეთა ჩვეულებრივი ძახილი: „ვირა, ვირა პომალუ, ვირა, სტოპ!“ არ ისმოდა გაშმაგებული ქშენა მოსაქმურის მაშინებისა და ჯაჭვების აწევ-დანევისა ჩახა-ჩუხი და გრიალი. შორად, ყველას განშორებული, მოჩანდა ერთადერთი ნავი, რომელიც წყნარად მოირყეოდა ნაპირისკენ. ეს ნავი მოცურავდა

„თამარის ციხიდან“, სადაც ცხოვრებისგან გაღიმებულნი ღროს გასატარებლად დადიან და რომელიც იზიდავს მკვნესავს გულსაც წარსულზე საოცნებოდ“ [ყაზბეგი 1950: 196];

ამ საოცარი სურათის შემდეგ ავტორი აღგვიწერს იმ სახლს, საიდანაც ცეკვა-მუსიკის ხმა გამოდიოდა. ადგილი, სადაც ორი მებღვაური შევიდა, ზუსტად ასახავს ქალაქური ცხოვრების სტილს. ნაწარმოებში ვხედავთ გაზულუქებულ მამაკაცს, რომელიც სასტუმროს პატრონს ზორას სანაცვლოდ სამი ბოთლი შამპანურის გახსნას ჰპირდება. მარტივია იმის მიხედვრა, თუ რა დანესებულებას წარმოადგენს ეს ადგილი. ყველაზე მნიშვნელოვანი და საგულისხმო ის არის, რომ ზორა სასტუმროს პატრონს მიმარავს სიტყვით - დედა. ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ პატარაობაში დაობლებული ზორა ჰაიმამ „ჩაიგდო“ ხელში და მის ექსპლუატაციას ეწევა.

ა. ყაზბეგი კარგად გვაჩვენებს, თუ როგორ მიდის ვაჭრობა ორ ადამიანს შორის უბინო სულსა და სხეულზე. ვხედავთ ფულზე გაყიდულ სინდისსა და ნამუსს. ეს ყველაფერი კი, საბოლოოდ უსვამს ხაზს იმას, რომ მწერლის მიერ სრულიად გაპარტახებული და უარყოფილია ქალაქური ყოფა-ცხოვრება.

ქალაქური ყოფის ამსახველი კიდევ ერთი საინტერესო ნაწარმოებია „კაცის წადილი“, სადაც აღწერილია მოსკოვში განთქმული „ტვერსკოი“ ბულვარი: „მოსეირნეთა შორის იყვნენ ყმანვილი და მოხუცი ქალებიცა, გრიზეტკებიც და გასუქებული „კუჭჩხებიც“. მაგრამ ესა გრძელდებოდა იმ ღრომდის, სანამ მზის ადგილს ან მთვარე ან განათებული ფარნების შუქი მის ადგილს დაიჭერდა“ [ყაზბეგი 1950: 245].

კარგად არის აღწერილი ქალაქური გარემო, სადაც ადამიანები საღამოობით დასეირნობენ განურჩევლად ასაკისა და თანამდებობისა, აგრეთვე ჩანს ახალგაზრდების დაუოკებელი ურთიერთობის წყურვილი თავიანთ ტოლ ქალებთან: „ყველა ყმანვილი კაცი დაეძებდა ტოლად ქალსა, ყველა მიდიოდა ლამაზ მუშა ქალებთან, მდაბლად, კობტად. სიამოვნების ღიმილით ეუბნებოდა: „საღამო მშვიდობისა M-1e, ნებას მომცემთ თქვენთან ვიარო?“ და ჰასუხად ესმოდა: „დიდის სიამოვნებით!““ [ყაზბეგი 1950: 245].

ამ მოთხრობაში მწერალი ზუსტად გვიხატავს ქალაქისთვის დამახასიათებელ გარემოებას, რომელიც რადიკალურად განსხვავდება მთის ცხოვრებისაგან. განსხვავებაა

ლანდშაფტისა და მდგომარეობის მხრივაც, სადაც მთა მეტად მკაცრი და მოუხერხებელი ადგილია ამგვარი შეხვედრებისა და გართობისთვის.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე ყაზბეგის დაუმთავრებელ მოთხრობათა ციკლი ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ლიტერატურული მონაპოვარია, რომელიც ზუსტად ასახავს მწერლის იდეურ და მორალურ მხარეს. „არის რაღაც მიმზიდველი და დამაფიქრებელი, რომ ალ. ყაზბეგმა დაგვიტოვა დაუმთავრებელ მოთხრობათა მთელი კარი. ვეღარ სთქვა, იქნებ იმიტომ, რომ ძალიან მაღალი ტონით დაიწყო შემოქმედება, დიდი გამძაფრებით და ენერგია აღარ ეყო? მაგრამ აქ ახსნა არც კი არის საჭირო. სჯობს ისევ ისე დარჩეს ეს შემოქმედების გვირაბი, რომელიც ბნელი პირით იცქირება და ფანტასტიკას ამრავლებს“ [კოტეტიშვილი 1965: 582].

თავი 4. „დავითის სახლობისა“ და „ცხოვრების ჩარხის“

პერსონაჟები

როგორც დასაწყისში ვახსენეთ, ალექსანდრე ყაზბეგი თეატრის დიდი მოყვარული და ქომაგი ყოფილა. მისი თანამედროვე, გენიალური ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი იხსენებს: „გაგიჟებით უყვარდა სანდროს სცენა, მაგრამ საუბედუროდ ძლიერ სუსტი მსახიობი იყო. სამაგიეროდ, ლეკურის გასაოცარი მოცეკვავე იყო. უცნაური ლამაზი რამ იყო მისი თამაში ორი ხანჯლით. მაყურებელს თან ხიბლავდა მისი სიმარდე, თან შიშს ჰგვრიდა – სანდრო თუ კაცი ხარ, თავი გაანებე მაგ ხანჯლებით თამაშს, თუ ვინაა დაიჭრი ერთ დღეს და ეს იქნება! – ვეუბნებოდი ხოლმე, რაზმეც იგი მხოლოდ სიამოვნებით იცინოდა“ [ცხოვრება... 1988: 337].

ცხადია, თეატრისადმი ამგვარი დამოკიდებულება მწერალს იმის უფლებას არ აძლევდა, რომ მისთვის ღირებული ნაწარმოებები არ შეექმნა.

„დავითის სახლობა“ არის ალექსანდრე ყაზბეგის პიესა, რომლის თავდაპირველი სახელი ჯერ „აღმზრდელები“, ხოლო შემდგომ „ერთი უბედურთაგანი“ ყოფილა. მთავარი მოქმედი პირები არიან თავადი დავით ლახვარაძე, მისი მეუღლე სალომე და ჭირვეული შვილი გიორგი, აგრეთვე მათთან შეხიზნული სპეტაკი ქალი – ნინო ლომიძე. აქვე იკვანძება სვიმონისა და ნინოს ურთიერთობის დრამატული ინტრიგა, რომელიც საფუძვლად უდევს ნაწარმოებს (გაჩეჩილაძე 1963: 175).

თავისი იდეური მიმართულებით, ეს პიესა ზნეობრივი ხასიათის დრამაა. ნინოსა და სვიმონის ურთიერთობათა გამოხატვით ავტორს სააშკარაოზე გამოჰყავს ერთი მხრივ ზნედაცემული და უნესო, ხოლო მეორე მხრივ გულუბრყვილო და პატიოსანი ადამიანები. პარალელურად იზღვება თავდადებული და უანგარო სიყვარულის სცენაც, რომლითაც გიორგია განმსჭვალული ბედისაგან დაჩაგრული ქალისადმი (გაჩეჩილაძე 1963: 175).

პირველ მოქმედებაში მწერალი გვიხატავს მშობლების მხრიდან არასწორი აღზრდის მაგალითს, რომელიც პატარა გიორგის იმთავითვე რყვნის. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ სალომე თავისი მეუღლის მსგავსად მენტალურად ჩამორჩენილი

ადამიანია და მისთვის წარმოუდგენელია, რომ თავადის და გლეხის შვილმა ერთად ისწავლოს სკოლაში.

კარგად ჩანს დავითის მლიქვნელური და ბოროტი ხასიათი, რომელიც რუსეთიდან შემოსულ „სოვეტნიკს“ თავისივე ხალხის დანიოკებაში ეხმარება. ყაზბეგი მას ტიპურ იმდროინდელ ჩინოვნიკად წარმოგვიჩენს და ამით აახლოებს მას მთის ნაწარმოებში აღწერილ ქართველ მაღალი წრის წარმომადგენლებთან, რომელთათვისაც ცხოვრების კრედო მხოლოდ ფული გახლდათ.

ნიკო ანდრონიკაშვილი სამართლიანად აღნიშნავს: „ყაზბეგი ამ პერიოდში სწორედ მაღალ წოდებაში ხედავს გახრწნისა და დეგრადაციის მთავარ კერას, რადგან სწორედ ამ წოდებამ შეისუთნა პირველად ახალი დროის მონამლული ჰაერი, სხვებზე ადრე იგრძნო ის მუჯლუგუნი, რომელიც ახალმა ცხოვრებამ უთავაზა და ძველი დიდების დაკარგვის საფრთხის წინაშე დამდგარი, მზად იყო უსაშინლესი ბოროტებაც კი ჩაედინა, ოღონდ ცხოვრების ზედაპირზე დარჩენილიყო“ [ახალი... 1975: 214].

სწორედ ასეთ ოჯახში მოხვდება დავითის ნათესავი ნინო, რომელიც პატიოსან, მშრომელ და მიამიტ პერსონაჟად გვევლინება. გიორგის მიერ ნინოსადმი გაჩენილი წრფელი გრძნობა არ გამოპარვია სალომეს, რომელმაც აიძულა ახალგაზრდა ქალი დაეტოვებინა მათი სახლ-კარი. ამით ისარგებლა ვითომ ინტელიგენტმა, სინამდვილეში კი გადაგვარებულმა თაღლითმა სვიმონმა. მან თავის ცხოვრების კრედოდ ჩერნიშევსკის რომანი „что делать?“ წარმოადგინა და დაარწმუნა ნინო, რომ „ქალთა სამკერვალოს“ გახსნას აპირებდა. საბოლოო ჯამში, გადაგვარებული სვიმონი ნინოს მოტყუებით ნამუსს ხდის, რის შედეგადაც უმანკო ქალის ცხოვრება სრულ კოშმარად იქცევა.

საინტერესოა გიორგის ფერისცვალებაც, რომელიც თავიდან მამის მსგავსად მოსამსახურეთა ჩაგვრითა და უზნეობით გამოირჩეოდა: „შემდეგ მოქმედებაში გიორგი, ისე როგორც ნინო, გვევლინება ახალი აზრებით გატაცებულ პიროვნებად... ცხადია, გიორგის შემდგომი ასეთი გარდაქმნა დრამაში უხერხულობას იწვევს. როგორ მოხდა, რომ ასე ცუდად აღზრდილი გიორგი მოწინავე ადამიანების რიგებში მოხვდა? თითქოს მწერალიც გრძნობს ამ უხერხულობას და გიორგის მეორე მოქმედებაშივე გამოსწორების გზაზე აყენებს ისე რომ მასში ცუდად აღზრდის ნიშნები აღარ ჩანს. მაინც რამ შეძლო

გიორგის ასეთი გარდაქმნა? ნინოს სიყვარულმა. ნინომ ჩაუნერგა მას, რომ იგი ცუდად იქცევა, მისი ასეთი მოქცევა ახალგაზრდისთვის შეუფერებელია. ნინოსადმი სიყვარულმა გამოსწორების გზაზე დააყენა გიორგი“ [გაჩეჩილაძე 1963: 172-173].

უნდა ითქვას, რომ მწერალი ერთმანეთს უპირისპირებს სვიმონსა და გიორგის. მათ ორივეს მიღებული აქვთ სწავლა, მაგრამ ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს იმას, რომ სვიმონი ბოროტად იყენებს თავის განათლებას. მისი სახით დახატულია იმდროინდელი მედროვე ადამიანი, რომელიც თავის პირადი მდგომარეობას ადამიანების გაუბედურებისთვის იყენებს. (გაჩეჩილაძე 1963: 180)

საბოლოო ჯამში უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ნაწარმოები კარგად გვიჩვენებს ქალაქის ცხოვრების მანკიერ მხარეებს. „დავითის სახლობა“ ზნეობრივი ხასიათის დრამაა. მასში მწერლის მიერ დაგმოხილია მაშინდელი ყოფაცხოვრების მახინჯი მხარეები. ამაში მდგომარეობდა მაშინდელი საზოგადოებისთვის ამ დრამის აღმზრდელობითი მნიშვნელობა“ [გაჩეჩილაძე 1963: 181].

„ცხოვრების ჩარხი“ ალექსანდრე ყაზბეგის დაუმთავრებელი ნაწარმოებია, რომელიც თავის მხრივ „საქართველოს ბომონდის“ გაგრძელებას წარმოადგენს. ეს უკანასკნელი თავიდან ბოლომდე განმსჭვალულია ავტორის ტენდენციით - სააშკარაოზე გამოიყვანოს თავისი პერსონაჟები, გააშიშვლოს ის მდაბალი ინსტიქტები, რომლებიც მათში ახალმა დრომ გააღვივა (ახალი... 1975: 197).

„საერთოდ, „ცხოვრების ჩარხი“ საგრძნობლად განსხვავდება ყაზბეგის ე.წ. მთის რომანებისგან, უპირველეს ყოვლისა შემოქმედებითი მეთოდით. „ცხოვრების ჩარხის“ ავტორი აშკარად და მთლიანად კრიტიკული რეალიზმის ტრადიციებს ემყარება. პირველ პლანზე აქ წამოწეულია არა იდეალურის ძიებისა და დამკვიდრების პათოსი, არამედ კრიტიკული, უარყოფელი ტენდენცია. წამყვანი ადგილი უჭირავს სატირას, სარკაზმს, მწვავე, დაუნდობელ ირონიას, რაც ყაზბეგს, როგორც მხატვარს სამოციანელებისგან აქვს შეთვისებული“ [ახალი... 1975: 197].

ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „ცხოვრების ჩარხი“ გამოხატავს ალექსანდრე ყაზბეგის უბედური სიყვარულის ისტორიას. მწერალი გვიჩვენებს საზოგადოების იმ უარყოფით მხარეებს, რომლებმაც მისი ცხოვრებისა და სიყვარულის ბედი გადაწყვიტეს.

მთავარი გმირი თეიმურაზ ჭმუნვარაშვილი ცხოვრებისთვის მოუმზადებელი და სუსტი პერსონაჟია, რომელმაც ვერ იტვირთა ავტორის მიერ დაკისრებული მძიმე როლი და სხვებს დაუთმო. იგი „ინტელექტუალური“ და „მოაზროვნე“ გმირია, აანალიზებს თავის მოქმედებას და ფიქრობს თავის გრძნობებზე. სწორედ ეს განასხვავებს მას ყაზბეგისეული „მთის“ გმირებისგან, რომელთაც ბუნებრივი უშუალობა და პირველყოფილი გულუბრყვილობა ახასიათებთ. (ახალი... 1975: 199)

„ელგუჯა და ონისე ბუნების შვილები არიან, ისეთივე ალაღნი და სპეტაკნი, როგორიც თვით ბუნება. თეიმურაზი კი ცივილიზაციის, ახალი ცხოვრების პირმშოა, აღზრდილი უნდობლობაში, ეჭვში, და მიუხედავად იმისა, რომ იგიც სპეტაკია, წმინდაა და ხალასი, მასში მაინც არის გარე საზოგადოების ზემოქმედების ნიშნები, ეჭვი, დაუნდობლობა. იგი არ ენდობა თავის გრძნობებს, დაეჭვებულია ლიდიას სიყვარულში, მას არ სჯერა თვით სიყვარულისა“ [ახალი... 1975: 199].

საინტერესოა თეიმურაზის და კიდევ ერთი „ქალაქელი“ გმირის - ლევანის შედარება „განკიცხულიდან“, რომელსაც ანალოგიურად შეაქვს ეჭვი მარის სიყვარულში. პორტუგალიკას მიერ შეთითხნილი ყალბი წერილი ლევანს თავზარს სცემს, რადგან იგი ყალბ, დაუნდობელ და შურით შეპყრობილ საზოგადოებაშია აღზრდილი. მისი ეჭვი წააგავს თეიმურაზის ეჭვს, რაც საბოლოო ჯამში ორივე გმირს აზარალებს (ახალი... 1975: 203).

თეიმურაზისგან განსხვავებით, რომელიც ნაწარმოების პასიური გმირია, ნაწარმოებში გვევლინება სიმონ კუხიანი, რომელიც თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო, როგორც ქრონიკა საქართველოს დაცემისა. იგი „ახალი ქართველებისა“ და „ბომონდის“ წარმომადგენელია, რომელშიც ავტორი გახრწნასა და გადაგვარებას ხედავს. მწერალი მას ასე ახასიათებს: „თავადი სვიმონ კუხიანი იყო კარგი დედ-მამის შვილი, კარგი ოჯახის პატრონი, იმ ოჯახისა, რომელმაც წარსულში დესპანობისა და ელჩობის ნიჭი გამოიჩინა და საქართველოს თავისუფალი სუნთქვის მოსასპობად მცირედი მეცადინეობა არ გასწია. საქართველოს თავ-თავის დროზე კეთილისმყოფელნი არ დაჰლევია, თავ-თავის დროზე მათი სამსახურიც დაჯილდოვებულა. ამისათვის სვიმონ კუხიანის მშობლებიც უნდა

დაჯილდოებულიყვნენ და დაჯილდოვდნენ კიდევ: შეიძინეს სიმდიდრე, დიდკაცობა და პატივი“ [ყაზბეგი 1950: 69].

რალა თქმა უნდა, ავტორი ირონიულად, მაგრამ ამავე დროს სევდიანად აღნიშნავს ამ ყოველივეს.

თეიმურაზისგან განსხვავებით, სვიმონი ახალი ტიპის ქართველს წარმოადგენდა, რომელიც კარგად იყო გარკვეული ჩინოვნიკურ მაქინაციებსა და მექრთამეობაში. იგი მეტად მომზადებული და ძლიერია, რადგან იცის, რომ მთავარი ძალა ცხოვრებაში არის ფული. სამწუხაროდ, ა. ყაზბეგმა მისი სახით დაგვიხატა უთავმოყვარეო, უღირსი და გარყვნილი ადამიანის პორტრეტი, რაც იმდროინდელი ჩინოვნიკების მხილებას ემსახურებოდა.

პრინციპული განსხვავება გვხვდება ქალისადმი დამოკიდებულებაში „მთისა“ და „ბარის“ ნაწარმოებებს შორის. თუ მთაში ქალისათვის ბრძოლა რაინდული წესია, „ცივილიზებულ ბარში“ ის ყოველგვარ ადამიანობას მოკლებულ საქმოსნურ დამოკიდებულებას წარმოადგენს. (ახალი... 1975: 214)

ნაწარმოების კიდევ ერთი ანტიგმირი - აპოლონი საქართველოდან ყმაწვილ კაცებს რუსეთში მიერეკება, რათა მათთვის მდიდარი საცოლეები იშოვოს, ხოლო შემდგომ თითონაც იხეიროს. ასეთი საქმის კონკურენტები ხდებიან სვიმონი და აპოლონი, რომლებიც მზად არიან ერთმანეთს ყელი გამოლადრონ, რათა მდიდარი საცოლის სიმდიდრე ჩაიგდონ ხელთ.

„მგლური“ დამოკიდებულება დაგვიხატა ავტორმა სვიმონისა და ვაჭრის ეპიზოდშიც, სადაც უკანასკნელი ეპიზოდური გმირია. მიუხედავად ამისა, ავტორი მკაფიოდ გვიხატავს, რომ პოლოსკო ბევრად უფრო ბოროტი და საშიში პიროვნებაა, ვიდრე სვიმონი.

თუ ვისაუბრებთ ნაწარმოების გმირებსა და მათ ძალთა განლაგებაზე, დავასკვნით: კუხიანი წარმავალი კლასის არისტოკრატია, რომელიც უკვე სულს ღაფავს და ველარ უწევს წინააღმდეგობას მასზე მეტად უხემ და ძლიერ ძალას, რომლის წარმომადგენელიც პოლოსკოა. იგი ბურჟუაზიის სახეა, რომლისათვისაც ლიდია ოქროს კერპია, კაპიტალდაბანდება და ტრამპლინია მაღალი საზოგადოებისკენ (ახალი... 1975: 210).

მათს საპირისპიროდ, თეიმურაზი ინტელიგენტი და მაღალი იდეალების გმირია, რომელიც სამწუხაროდ უნიათო და უპერსპექტივოა. ლიდია კი მსხვერპლი, უძლური და უპატრონო, ყოველგვარ დასაყრდენს მოკლებული ასევე მაღალი იდეების გმირი (ახალი... 1975: 210)

„ცხოვრების ჩარხში“ უკვე ნათლად იგრძნობა იმ ტენდენციების კონტურები, რომლებიც ყაზბეგისთვის ასე დამახასიათებელი ხდება მის შემდგომ შემოქმედებაში. ესაა, უპირველეს ყოვლისა, კონტრასტული დაპირისპირება, ერთის მხრივ, კეთილს, ამალღებულს, რომანტიკულსა და მეორეს მხრივ, ბოროტს, მდაბალს, რეალურს შორის. შემოქმედების ამ ეტაპზე რეალური სანყისი წამყვანია; ამ რომანში ყაზბეგი გვევლინება უფრო უამთააღმწერლად, მკაცრ ობიექტურ მსაჯულად სინამდვილისა“ [ახალი... 1975: 211].

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ „ცხოვრების ჩარხი“ და „დავითის სახლობა“ ერთმანეთთან დაკავშირებული ნაწარმოებებია: „ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულმა დოკუმენტებმა ეს აზრი უფრო ნათელი გახადა. როგორც ირკვევა, „დავითის სახლობაში“ ა. ყაზბეგს ავტობიოგრაფიული ამბავი ჩაურთავს“ [გაჩეჩილაძე 1963: 172-173].

სამწუხაროდ, იმდროინდელი საზოგადოების მტაცებლური და გაუტანელი ბუნება მწერალმა საკუთარ თავზე გამოსცადა. იგი ექსპრესიულად გადმოგვცემს სხვადასხვა გმირების მისწრაფებებსა და სურვილებს, განცდებსა და მდგომარეობებს. ალექსანდრე ყაზბეგი უბადლო მხატვარია ადამიანის შიშველი სულისა, რომელმაც შეძლო და ჩვენამდე მოიტანა ჩაგრული ხალხის გულისტკივილი.

დასკვნა

XIX საუკუნის გენიალური მწერლის, ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება გამსჭვალულია ჰეროიკით, პატრიოტიზმით, თავდავინცებით სიყვარულითა და ტრაგიზმით. მისი გმირები, რამდენადაც სრულყოფილნი არიან, იმდენად ადამიანური უარყოფითი მხარეებით ხასიათდებიან და სწორედ ეს კრავს იმ წრეს, რასაც მკითხველი ალტაცებაში მოჰყავს.

არ იქნება სამართლიანი, თუ ყაზბეგისეულ ბუნებისა და ადამიანის ერთმანეთთან მიმართებაზე არ ვისაუბრებთ: „ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ გავრცელებულია ზეპირი აზრი, რომ იგი ბუნების დიდი მხატვარია. აქ ცოტაოდენი გარკვევა არის საჭირო. თუ ბუნებას ავიღებთ როგორც სტატიკაში გაქვავებულს, უნდა ითქვას, რომ ალ. ყაზბეგი ასეთი ბუნების მხატვარი სულაც არ არის. ვაჟა-ფშაველა ამ მხრივ ისე დიდია, რომ ალ. ყაზბეგი მის გვერდით ვერ გამოჩნდება. ხოლო თუ ბუნებას ავიღებთ როგორც ადამიანის გარშემო და ადამიანთან ერთად დიდ მოძრაობაში მოსულს, ალ. ყაზბეგი ისეთ გენიოსურ სურათებს შლის, რომ არამცთუ ჩვენს მწერლობაში, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში ძნელად მოეძებნება ბადალი“ [კოტეტიშვილი 1965: 547-548].

რალა თქმა უნდა, იგი ადამიანის და პირველ რიგში დაჩაგრული ადამიანის ქომავალ გვევლინება. მისთვის, როგორც მწერლისთვის, არ არსებობს ზღვარი საზოგადოებრივ ფენებს შორის, რაც კარგად ჩანს თითოეულ ნაწარმოებში. მეტიც, იგი ყოველთვის დადებითად ახასიათებს ისეთ პერსონაჟებს, რომელსაც გაბოროტებული და ზნედაცემული საზოგადოება აბუჩად ივდებს: „სალომეს აღშფოთებას ინვევდა ნასტუდენტარის სიტყვები: „ყველანი ძმები ვართ, რა განსხვავებაა გლეხსა და ბატონში“... აქვე სალომე აღნიშნავს, რომ გლეხის შვილი „ღორის მკბენარს ჰგავს, ფეხზედ რომ დაისვა, თმაზედ აგიცოცდება““ [გაჩეჩილაძე 1963: 176].

ალექსანდრე ყაზბეგი თამამად და ღიად ებრძვის საზოგადოებაში არსებულ დრომორჩულ და მავნე წესებს, რომლის წინააღმდეგაც სარკაზმით და ირონიით ილაშქრებს. სწორედ ამიტომ დაიმსახურა მან უბრალო ხალხის ნდობა და სიყვარული, რასაც მისი თანამედროვე ლუარსაბ ხელაძე იხსენებს: „ალექსანდრემ თავისი უბრალო

ქცევით, რომელიც მაშინ მწერალთა შორის ძალიან იშვიათი იყო, თავო შეაყვარა მუშებს. მანამ წიგნის ბეჭდვა დამთავრდებოდა, სულ ჩვენს შორის ტრიალებდა, მის დაუსრულებელ ოხუნჯობას, ანეგდოტებს, გულწრფელ საუბრებს და ენამახვილობას ალტაცებაში მოჰყავდა მუშები“ [ცხოვრება... 1988: 259-260].

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება პირდაპირ უსვამს ხაზს მწერლის კონცეპტუალურ მხარეს და იდეურ მრწამსს: „ალექსანდრე ყაზბეგს ადამიანი მიაჩნია უსაზღვრო ღირებულებად, რადგან მასში ეგულება აურწყველი წადილები და მიჯნა დაუდებელი სწრაფვა სისრულისაკენ. ერთი სიტყვით, ადამიანი სუბსტანციაა, რომელიც თვით არკვევს თავის თავს, თუ შეიძლება ასე ითქვას. ამიტომ არის, რომ ადამიანის ინდივიდუალური ბედისწერა ასე აღელვებს და აფიქრებს ჩვენს ავტორს“ [კოტეტიშვილი 1965: 547].

ვფიქრობ, სამართლიანი იქნება, თუ დიდი ილიას სიტყვებსაც გავიხსენებთ: „გარდაიცვალა! მაგრამ ვინ მოიგონა ეს სიტყვა? უკვდავთან სიკვდილს რა ხელი აქვს? ორჯერ დაბადებულს ღვთიურის მადლით ცხებულს, ერთი სიკვდილი ვერას უზამს. ყაზბეგი - კი მეორედ მაშინ დაიბადა, როდესაც თავისი ნიჭიერი კალამი უძღვნა ქვეყანას. დაიბადა ისე, რომ მისი აკვანი ყოველის ქართველის გულში ირწეოდა. ასეთ აკვანში გამოზრდილს ადამიანს კი სიკვდილი ხელს ვერ შეახებს“ [ქართული... 1974: 391]

და მაინც, ალექსანდრე ყაზბეგი არის გარდარეული სიყვარულის, უსაზღვრო ვნებისა და ჩაგრულ ხალხთა აპოლოგეტი, რომლის სიკვდილის შემდეგაც გაიაზრა საზოგადოებამ მისი წარუშლელი კვალი ქართულ ლიტერატურაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ყაზბეგი ა., თხზულებანი ტ.IV., გამ-ბა „თბილისი“, თბ., 1950
2. ყაზბეგი ა., თხზულებანი ტ.II., გამ-ბა „თბილისი“, თბ., 1950
3. ყაზბეგი ა., თხზულებანი ტ.I., გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1948
4. რადიანი შ., ახალი ქართული ლიტერატურა ტ.II., „სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა“, თბ., 1953
5. ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა (მის თანამედროვეთა მოგონებების მიხედვით), გამ-ბა „განათლება“, თბ., 1988
6. კოტეტიშვილი ვ., ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), I., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1965
7. ქართული ლიტერატურის ისტორია ტ.IV., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1974
8. გაჩეჩილაძე ა., ნარკვევები XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან., II., „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, თბ., 1963
9. ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები., VI., გამ-ბა „მეცნიერება“, თბ., 1975
10. ვარდოშვილი ე., პოეტური თანხვედრანი., II., გამ-ბა „ბარტონი“, თბ., 2014

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

MA Programme: Georgian Philology

Konstantine Gogiberidze

Literary works reflecting the city life in Al. Kazbegi's artistic conjecture

The work is executed for obtaining the academic degree MA in Georgian

Philology

Supervisor:

Associate professor, Eka Vardoshvili

Tbilisi

2019